# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 12 ოქტომბერი 2005 №234 (2557) ფასი 50 თეთრი

# ახალქაცი ბერძნებს სიურპრიზით ემუქრება

## ქართველებს კი გული უსკდებათ: რა იქნება დღეს?







დავით თავართქილაძე
ათენიდან

ათენში კვლავ არ შეიმჩნევა დიდი აჟიოტაჟი ფეხბურთისადმი: დანიასთან წაგებამ ბერძნებს ყურები ჩამოაყრევინა და დღეისთვის „გეორგიოს კარაისკასზე“ ანშლაგს ნაღდად არ ელიან.

ქართველების მზადებაზე ვთქვათ: გაიოზ დარსაძემ ეროვნულ ნაკრებთან ერთად ავარჯიშა თბილისის „ამერის“ 17 წლის ნახევარმცველი მირზა ბუალავა, რომელიც ახალგაზრდული ნაკრების სამატჩო განაცხადში არ ყოფილა. დიდი შანსია, დღეს ეროვნულის განაცხადში მოხვდნენ „ზესტაფონის“ ფორვარდი ბექა გოცირიძეც და თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი გიორგი ჭელიძეც. გუშინდელ ვარჯიშზე დაშავებული მცველი გიორგი ხიდეშელი კი ორი კვირა ვერ ითამაშებს.

და კიდევ: ათენში ჩამოვიდა ეროვნულ ნაკრებში ახლახან დანიშნული ფიზმომზადების მწვრთნელი, იტალიელი ფრანკო ფერარი. მან ჯერ ახალგაზრდული ნაკრების მატჩს უყურა, შემდეგ კი ეროვნული გუნდის ვარჯიშზეც გახლდათ.

ასეთია ცხელ-ცხელი ამბები, მეორე გვერდზე კი იხილავთ ცხელ-ცხელ ინტერვიუს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან.

# რა თქმა უნდა, 3
# რა თქმა უნდა, 0



გუშინ ათენში ქართველმა 21-წლამდელებმა კიდევ ერთხელ ასახელეს მეტოქე — ბერძენ თანატოლებთან 0:3 წააგეს

# ათენში ფერარი ჩაფრინდა

## ნოდარ ახალკაცი: ბერძნები სიურპრიზს ნახავენ



— როდესაც პრეზიდენტად აგირჩიეს, მაშინ უფრო ძნელი გეჩვენებოდათ ამ პოსტზე მუშაობა თუ ახლა?

— სიძნელეს ვერ ვხედავ. პირიქით, ნათლად ჩანს, რომ ქართულ ფეხბურთს კარგი მომავალი აქვს. ჩვენ თავიდანვე არც ველოდით დიდ შედეგს, აქცენტი ახალგაზრდების დინამიურ ინტეგრაციაზე გავაკეთეთ და ასეც გავაგრძელებთ. რა თქმა უნდა, ამაში წაგების, კრიზისის რისკია, მაგრამ მთელ მსოფლიოში ახალგაზრდების წინ წამოწევის პრაქტიკა არსებობს.

— შეგიძლიათ დაგვპირდეთ, რომ მომდევნო შესარჩევ ციკლში უფრო ძლიერი ეროვნული ნაკრები გვეყოლება?

— დაპირება კი არა, ეჭვიც არ მეპარება, რომ უფრო ძლიერები ვიქნებით. ეს იმიტომ, რომ პროცესი კანონზომიერად მიმდინარეობს. სხვათა შორის, ახალგაზრდების დაწინაურება წინასწარ იყო შეთანხმებული ნაკრების წამყვან ფეხბურთელებთან.

— ნაკრები კი, მაგრამ ფედერაცია თუ იქნება უფრო მდიდარი მომდევნო ტურნირში?

— დიახ, ჩვენ უფრო ძლიერები უნდა ვიყოთ ფინანსურად. სხვა გზა არც გვაქვს.

— დღეს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ისევ წააგო. ხომ არაა მოსალოდნელი, რომ კობა ჟორჟიკაშვილმა 21-წლამდელთა ნაკრები დატოვოს?

— არა. 21-წლამდელთა ნაკრებში 19-წლამდე ასაკის ფეხბურთელთა დიდი ბირთვია. თუმცა ამ ასაკობრივ ნაკრებებში, მათ შორის. 17-წლამდელებშიც, აქტიურად ჩაებმება გერმანელი ჰერბერტ ცანკერი.

— ხომ არაა შესაძლებელი, ცანკერი 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად დაინიშნოს?

— ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ არა უახლოეს დღეებში. ანუ, ბელგიაში გასამართ ევროშესარჩევში 17-წლამდელებს ლევან მელიქია უთავკაცებს. ცანკერი ორი-სამი კვირის წინ იყო თბილისში ჩამოსული და 17-წლამდელთა ნაკრებში ვამუშავეთ კიდეც.

— ეროვნული ნაკრები წარუმატებლობებს დაეჩვია და საბერძნეთთან თუ გამოჩნდება რაიმე პოზიტიური?

— იმედია, ბერძნებთან მატჩში ბევრ კარგ სიახლეს ვნახავთ. ყაზახებთან იმიტომაც გაგვიჭირდა, რომ ისინი ისე თამაშობდნენ, პრესინგის გაკეთება არ ხერხდებოდა. საერთოდ, საქართველოს ნაკრებს შემტევი ფეხბურთისკენ ექნება გეზი აღებული.

— მაინც რას ელით საბერძნეთთან მატჩისგან?

— ერთი ვიცი, ბერძნები გარკვეულ სიურპრიზებს მიიღებენ ჩვენგან.

### ძველი დინამოელი ახალ საქართველოზე

# ალექსანდრე ილიადი: მე ორივეს ვუქომაგებ

**საბერძნეთში** ყოფნისას, აბა, აკროპოლისი როგორ არ უნდა ნახო კაცმა და ეს სურვილი მეც დავიკმაყოფილე. თან ერთ ჩვენთვის კარგად ნაცნობ პიროვნებასაც შევხვდი — გასული საუკუნის სამოციანი წლების თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი *ალექსანდრე ილიადი* უკვე თხუთმეტი წელია, საბერძნეთში ცხოვრობს.

მოკითხვის შემდეგ, ბუნებრივია, ფეხბურთზეც ვილაპარაკეთ...

— საქართველო დიდი ხნის წინ დატოვეთ და აქ როგორ გრძნობთ თავს?

— თხუთმეტი წელია, აქ ვცხოვრობ და ყველაფერს იოლად შევეგუე, თუმცა, ცხადია, საქართველოსაც არ ვივიწყებ. თქვენებურ ამბებს სისტემატურად ვადევნებ თვალყურს.

— საბერძნეთში რას საქმიანობთ, ფეხბურთთან კავშირი თუ გაქვთ?

— უფეხბურთოდ ვერანაირად ვერ გავჩერდები. აქ ერთ-ერთ სპორტსკოლაში ვმუშაობ, ბავშვებს ვავარჯიშებ და ეს ძალიან მსიამოვნებს.

— ბერძნულ ფეხბურთზე რას იტყვით? ევროპის ჩემპიონობის შემდეგ ნაკრებს ჩავარდნა აქვს და მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის თეორიული შანსიღა შერჩა...

— არა მგონია, რაიმე საგანგაშო ხდებოდეს. უბრალოდ, ახლა არ უნდა დავუშვათ შეცდომა და ოტო რეჰაგელი არ უნდა გავათავისუფლოთ. იგი დიდი მწვრთნელია და კიდევ ბევრ სარგებლობას მოგვიტანს.

— ქართულ ფეხბურთზე რა აზრის ხართ?

— რა ვთქვა, როცა შინ საბერძნეთთან 1:3-ს წააგებ, თურქეთთან 2:5-ს, ყაზახეთს ვერ მოუგებ... რაღაა სათქმელი?!

— ვის უქომაგებთ საბერძნეთ — საქართველოს მატჩში?

— ორივეს.

**დავით თავართქილაძე**
***ათენიდან***

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

ათენი. 11 ოქტომბერი. 16.30 საათი. პანიონიოსი. 200 მაყურებელი

### საბერძნეთი 3:0 საქართველო

1:0 ლაზაროსი (2), 2:0 ანტონიოსი (19), 3:0 დიმიტრიოსი (30)

**საბერძნეთი:** კონსტანტინოსი, ა. ნიკოლაოსი, კ. ნიკოლაოსი (სოტირისი 65), გრიგორიოსი, ავრაამი, ალექსანდროსი, დიმიტრიოსი (კარივაოსი 46), ლაზაროსი, ანტონიოსი, სოტირიოსი, პანაიოტისი
*სათადარიგონი:* იოანისი; ვასილიოსი, გუსტოსი, პროკოპიოსი
**მწვრთნელი:** სტელიოს აპოსპორისი

**საქართველო:** თოთლაძე, ა. კალაძე, ელბაქიძე (ხორგუაშვილი 46), დ. მჭედლიშვილი, ფიფია, ცღენტი (ხოჯავა 22), გ. ჭელიძე, გვაძაბია, ჩირიკაშვილი, გოცირიძე, ლაფერაშვილი (თომაშვილი 46)
*სათადარიგონი:* თევდორაძე; ს. იაშვილი
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**გაფრთხილება:** ავრაამი (9), ხოჯავა (36, 55), გოცირიძე (58), სოტირიოსი (78)

**გაძევება:** ხოჯავა (55)

**მსაჯები:** კ. კოსტადინოვი; ნ. ჟუგანსკი, ი. ფერევი; ა. აჰმედი (ყველა ბულგარეთი)

# დიდება ძველი, სირცხვილი?



**დავით თავართქილაძე**
*ათენიდან*

„**პანიონიოსის**“ სტადიონზე ჩვენი უწინდელი ჰიმნი — „დიდება“ შეასრულა ორკესტრმა და მატჩიც დაიწყო. შეხვედრას ოდენ ორასამდე გულშემატკივარი დაესწრო.

კობა ჟორჟიკაშვილმა ყაზახეთთან საშინაო მარცხის შემდეგ სასტარტო შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეცვალა, მაგრამ პირველი ტაიმის შემდეგ 0:3-ს აგებდა. ბერძნების პირველივე კუთხური გოლით დასრულდა — ჩვენი მეკარე და ცენტრალური მცველები შეცდნენ და ქრისტოდულოსუს ლაზაროსმა თავურით გაიტანა.

რამდენიმე წამში გოგი ფიფიას პასით ბექა გოცირიძემაც შეაგდო, მაგრამ გოლი არ ჩაითვალა — მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

მალე იმავ ლაზაროსს მიეცა შანსი, თუმც 16-17 მეტრიდან ცაციით ოდნავ ააცილა მიზანს. და ბერძენთა მეორე გოლი: ლაზაროსმა მარცხნიდან ჩააწოდა და პეტროპულოს ანტონიოსმა თავურით ლამაზად გაიტანა — მეტოქისთვის ხელის შეშლა ანზორ კალაძეს მართებდა, მაგრამ...

ცოტაც და, კვლავ დაემუქრნენ ბერძნები ჩვენს 21-წლამდელებს, მაგრამ ირაკლი თოთლაძემ იმარჯვა.

გოლი მესამე: ბურთი გიორგი ჭელიძემ დაკარგა, შემდეგ დავით მჭედლიშვილი შეცდა და დიმიტრიოსმა, ფაქტობრივად, ცარიელ კარში შეაგდო.

მომდევნო მომენტი ქართველებისა იყო— გოცირიძის დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, ბერძნებს საგოლე შანსი ჰქონდათ — ანტონიოსი პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ უხეიროდ ითამაშა, მერე კარივაოსიც შეეცადა თოთლაძეს და მანაც ვერ ივარგა.

მანამდე კი გოჩა ხოჯავა გააძევეს ორი ყვითლის გამო — გაიმეტებით მოცელა მეტოქე.

ამის მერე თამაში უინტერესო გახდა — ქართველებს გოლის გატანის შანსი აღარ ჰქონიათ და მაინცდამაინც აღარც ბერძნები იკლავდნენ თავს.

კიდევ ერთი საგოლე მომენტი ანტონიოსმა თავურით ოდნავ ააცილა. ბოლო წუთებზე კი სოტირიოსს თოთლაძემ აუღო ახლოდან დარტყმული, ირაკლიმ შემდეგ კიდევ ორჯერ იხსნა კარი.

**ალბანეთი 1:1 თურქეთი**
**ყაზახეთი 1:1 დანია**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 12 | 9 | 2 | 1 | 30:12 | 29 |
| უკრაინა | 12 | 7 | 2 | 3 | 22:7 | 23 |
| საბერძნეთი | 12 | 6 | 2 | 4 | 18:9 | 20 |
| თურქეთი | 12 | 5 | 4 | 3 | 15:9 | 19 |
| საქართველო | 12 | 3 | 2 | 7 | 7:22 | 11 |
| ალბანეთი | 12 | 2 | 3 | 7 | 9:27 | 9 |
| ყაზახეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 8:23 | 7 |

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. (U-21)

**I ჯგუფი**
ფინეთი 1:3 ჩეხეთი
ჰოლანდია 4:0 მაკედონია

**III ჯგუფი**
ლუქსემბურგი 1:1 ესტონეთი
პორტუგალია — ლატვია *გვიან დამთავრდა*

**IV ჯგუფი**
საფრანგეთი 2:0 კვიპროსი
ირლანდია 0:1 შვეიცარია

**V ჯგუფი**
ბელარუსი 2:3 ნორვეგია
იტალია 1:0 მოლდოვა
სლოვენია 3:0 შოტლანდია

**VI ჯგუფი**
ავსტრია 0:3 გერმანია
უელსი 3:0 აზერბაიჯანი
ინგლისი 4:1 პოლონეთი

**VII ჯგუფი**
ლიტვა 1:2 ბელგია
სან მარინო 1:10 ესპანეთი
სერბეთი 5:1 ბოსნია

**VIII ჯგუფი**
უნგრეთი 2:2 ხორვატია
შვედეთი 1:4 ისლანდია
მალტა 1:1 ბულგარეთი



# ყაზახეთს რომ ვერ მოუგებ...

## თემურ ქეცბაიამ მუხლი გაიმრთელა და ნაკრებზე ვერ ლაპარაკობს

*კვიპროსული „ანართოსისის“ მოთამაშე-მწვრთნელი თემურ ქეცბაია, მოგეხსენებათ, ტრავმირებული გახლდათ — კვიპროსის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში დაიშავა მუხლი. ბოლოს რომ შევეხმიანეთ, მისმა მეუღლემ გვითხრა, საოპერაციოაო.*

*გუშინ თემურ ქეცბაიას ერთხელაც დავუკავშირდით...*

— ახლა კარგად ვარ. გუშინ ტრენაჟორებზეც ვივარჯიშე.

**— თამაშზე ლაპარაკი, ცხადია, ჯერ ადრეა...**

— თავისთავად.

**— კონკრეტულად რა ოპერაცია გაიკეთეთ?**

— მენისკის, მარცხენა მუხლზე.

**— „ანართოსისის“ მოთამაშე-მწვრთნელი ხართ და, ბუნებრივია, გუნდზედაც გკითხავთ: შარშანდელთან შედარებით წლევანდელი ჩემპიონატი ცუდად დაიწყეთ...**

— ცუდად თითქოს არ გვითამაშია, მაგრამ უაზროდ გავფლანგეთ ქულები. მაგალითად, ბოლო ხუთი მატჩიდან სულ მცირე ოთხი უნდა მოგვეგო, ფატალურად არ გვიმართლებდა.

**— ალბათ, ევროთასებზე თამაშმაც თავისი დაღი დაგატყოთ...**

— როგორც ჩემპიონთა ლიგაში, ისე უეფას თასზე მართლაც კარგად ვითამაშეთ. რა თქმა უნდა, ამანაც დიდად იმოქმედა, ახლა სხვა გზა არც გვაქვს, ეროვნულ ჩემპიონატზე უნდა გადავეწყოთ. კვირას ჩვენს უმთავრეს კონკურენტს, ლიდერ „ომონიას“ ვხვდებით, რომელსაც ექვსი ქულით ჩამოვრჩებით.

**— შარშანდელთან შედარებით წლეულს ქართველი ლეგიონერებიც იშვიათად ჩანან...**

— კობა წიტაიშვილს ტრავმები აწუხებდა და ამიტომაც ვერ თამაშობდა. რაც შეეხება გიორგი გაბიდაურს, ეგებ ის ძირითადის ფეხბურთელი ახლა არ არის, მაგრამ გუნდისთვის ძალიან საჭიროა და მჯერა, თავის გასაკეთებელს აუცილებლად გააკეთებს.

**— საქართველოს ნაკრებში დღეს შექმნილ ვითარებაზე თქვენი აზრი, ცხადია, საინტერესო იქნებოდა...**

— რა გითხრათ, მიღწევებით რომ ვერ დავიტრაბახებთ, ფაქტია, მაგრამ ერთიცაა, ნაკრებთან ახლოს არ ვარ და მისი შეფასებისგან თავს შევიკავებ.

**— და მაინც?**

— გითხარით, არ ვიცი, რა ხდება დღეს ნაკრებში. ალბათ, რაღაც პრობლემებია. ყაზახეთს რომ ვერ მოუგებს, ზედმეტია იმ გუნდის უკეთესობაზე და წარმატებაზე ლაპარაკი.

**— თქმა არ უნდა, ახლა საქართველოს ნაკრებს საბერძნეთთან უმძიმესი მატჩი ელის. თქვენ საბერძნეთში კარგა ხანს თამაშობდით, იქაური ატმოსფეროც მშვენივრად მოგეხსენებათ...**

— ხალხი ნაღდად მივა, მეტიც, სტადიონი გაივსება. ნუ გგონიათ, რომ ქომაგები საქართველოს ნაკრების გამო მივლენ სტადიონზე. ჩემი აზრით, მიზეზი სხვაა.

**— კერძოდ?**

— ის, რომ ბერძნებს თითქმის დაკარგული აქვთ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი და ეს ქომაგმაც კარგად იცის. ხალხი უფრო იმ ფეხბურთელების პატივსაცემად მივა სტადიონზე, რომლებმაც ისინი წელიწადნახევრის წინ გაახარეს ევროპის ჩემპიონობით. თანაც შესარჩევის ბოლო თამაშია.

**— ანუ თქვენც ფიქრობთ, რომ საბერძნეთი პლეი ოფისთვის მაინც უშანსოდაა?**

— ძნელი წარმოსადგენია, თურქებმა და დანიელებმა იოლ მეტოქესთან ქულები დაკარგონ. ბერძნები ხომ მათ შედეგებზე არიან დამოკიდებულნი.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ორი ხელით, ორი ფეხით და მიზნად ორეულში

## 17-წლამდელებს ბელგიაში გაიოზ დარსაძეც ჩააკითხავს

*საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ხვალ გაფრინდება ბელგიაში, სადაც 19 ოქტომბრიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპზე ითამაშებს. შეგახსენებთ, ლევან მელიქიას გუნდს მეტოქეებად მასპინძელი ბელგია, ბულგარეთი და ავსტრია ეყოლება. მატჩები კი 19, 21 და 23 ოქტომბერს გაიმართება.*

*ქართველებმა 9 ოქტომბრიდან დაიწყეს საბელგიო მზადება. ისინი საქართველოს ნაკრების ბაზაზე ვარჯიშობენ. ლევან მელიქია პროგნოზებს ერიდება, თუმცა მიზნად, ცხადია, პირველ ან მეორე ადგილზე გასვლა დაუსახავს სწორედ ორი საუკეთესო გადის მეორე შესარჩევ ეტაპზე*

— პირველი მატჩი ბელგიასთან გვაქვს და, ცხადია, ეს თამაში გვაჩვენებს, რა შეგვიძლია — გვითხრა მელიქიამ — ამ მომენტში ოთხივე გუნდს ერთნაირი შანსი აქვს და აზრადაც არ უნდა გავივლოთ, რომ რომელიმე ნაკრები გვჯობია. ჩვენც ორი ხელი და ორი ფეხი გვაქვს, ფეხბურთის თამაში შეგვიძლია.

**— თქვენს გუნდში რამდენიმე ფეხბურთელია, რომლებმაც ლინიანოში ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი მოიგეს...**

— ეგრეა, თანაც მაშინ უფრო ძლიერ მეტოქეებს მოვუგეთ.

**— მზადებით კმაყოფილი ხართ?**

— რაც მთავარია, მოსამზადებლად საკმაო დრო გვაქვს. ბელგიაში ტურნირის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე ჩავდივართ, ესე იგი, მთლიანობაში ათდღიანი შეკრება გამოგვდის.

**— ნაკრების ფეხბურთელთა ნახევარი „ზესტაფონი 2“-ში თამაშობს, არადა, ამ გუნდს პირველ ლიგაში რვა თამაშიდან რვა წაგება აქვს...**

— საქმე ისაა, რომ „ზესტაფონი 2“-ში მოგროვდა 1989 წელს დაბადებულთა საუკეთესო ბირთვი. ისინი იქ სხვადასხვა კლუბებიდან გადავიდნენ. რაც შეეხება რვიდან რვა წაგებას, ამის მიზეზი ისაა, რომ პირველ ლიგაში „ზესტაფონი 2“-ს ყველაზე ნორჩი ფეხბურთელები ჰყავს. ჯობს, ამ ჭაბუკებმა უფროსების წინააღმდეგ ითამაშონ, გამოცდილებას და ოსტატობას ასე უფრო შეიძენენ. დამეთანხმებით, 16 წლის ბავშვი 22-23 წლისებთან ტოლსწორად ვერ ითამაშებს, მაგრამ ეს საჭიროა მისი დაღვინებისთვის. თან „ზესტაფონი 2“-ს კობა ჟორჟოლიაშვილი წვრთნის, რომელიც 17-წლამდელთა ნაკრების კონსულტანტია.

**— ბელგიაში კობა ჟორჟოლიაშვილიც ჩამოვა?**

— ალბათ, საბერძნეთიდან პირდაპირ ჩამოვა ბელგიაში. შესაძლოა, გაიოზ დარსაძეც ჩვენთან ერთად იყოს.

ლევან მელიქიამ 17-წლამდელთა საბელგიო შემადგენლობაც გაგვაცნო. ამჯერად გუნდში 21 ფეხბურთელია, თუმცა შესარჩევში მათი რიცხვი 18-მდე შემცირდება.

***მეკარეები:** როინ კვასხვაძე (ზესტაფონი 2), გიორგი ბახტაძე (ამირანი), ლუკა დაუთაშვილი (ოლიმპი);*

***მცველები:** ირაკლი ხარაბუა, გიორგი ხუმარაშვილი, გიორგი სურმავა, ამირან ხანია, გიორგი გავაშელიშვილი (ყველა ზესტაფონი 2), აკაკი ტეტუნაშვილი, ვახტანგ ქვრივიშვილი (ორივე დინამო 2);*

***ნახევარმცველები:** ალექსანდრე ბენაშვილი, მურთაზ დაუშვილი, თორნიკე თარხნიშვილი (სამივე ზესტაფონი 2), ლაშა ცუცქირიძე (ოლიმპიკი), თამაზ ნარგეიშვილი (დინამო 2), რევაზ წულაძე (ვიტ ჯორჯია 2);*

***თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე, რევაზ ლვინიაშვილი, თორნიკე უხურგულაშვილი (სამივე ოლიმპიკი), დავით ჯანელიძე (ზესტაფონი 2), ლევან პაპლიაშვილი (ამირანი).*

ამ 21 მოთამაშიდან 1990 წელს დაბადებული ორია: თორნიკე თარხნიშვილი და კარლო მჭედლიძის ვაჟი, ლევან მჭედლიძე.

**ილია ნანობაშვილი**



ლევან მელიქია

მურაზ ლორთქიფანიძის ფოტო

# ჩუხრი ქართველებს მოლდოვაში იწვევს

**16-23 ოქტომბერს** მოლდოვაში ფიფას სემინარი გაიმართება მსაჯებისა და მსაჯთა ინსტრუქტორებისთვის, რომელსაც დსთ-ის ქვეყნების წარმომადგენლები დაესწრებიან. ეს სემინარი ფიფას ეგიდითაა და პროგრამას „FUTURE 3“ ჰქვია. ამ პროგრამას საქართველოში არაერთგზის ნასტუმრები ვალერი ჩუხრი ხელმძღვანელობს.

სემინარებზე სხვადასხვა საკითხებზე ილაპარაკებენ, მათ შორის, თამაშის წესების შესაძლო შეცვლაზეც. მოლდოვაში საქართველოს ორი წარმომადგენელი გაემგზავრება: სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო და ბავშვთა ფეხბურთის განვითარების უფროსი მენეჯერი ავთანდილ შალამბერიძე.

# geo_geo_fan@

# ფეხბურთის ხელისუფლები VS ფეხბურთის ჭირისუფლები

„სარბიელი“ გულშემატკივართა წერილების გამოქვეყნებას აგრძელებს. თემა მეტისმეტად მიმზიდველია — საქართველოს ნაკრები და ფეხბურთის ფედერაციის პოლიტიკა. ეს თემა უფრო მიმზიდველად ნაკრების ყოვლად უსუსურმა თამაშმა აქცია...

**MARI23:** საქართველოში ფეხბურთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა და ქართველი ფეხბურთელებიც ყველაზე პოპულარული სპორტსმენები არიან, უმრავლესობისთვის მაინც. თითქოს ადვილია, ილაპარაკო ამ ყველაზე გავრცელებული სპორტის ქართულ ანალოგზე, მაგრამ რა? რა უნდა ვილაპარაკო, როცა თავში ერთი ხეირიანი აზრიც კი არ მომდის.

ვინმე იფიქრებს, ამას თუ მუზები სადღაც გაუფრინდნენ, ფეხბურთის რა ბრალიაო (ფეხბურთელთა მშობლები, ნათესავ-მეგობრები და პირადი ფანები). მავანი იტყვის, მე ხომ ასი წელია, ამ მდგომარეობაში ვარო (გულშემატკივარი, რომელმაც უყურა საქართველოს ნაკრების მიერ ჩატარებულ მატჩებს). მე კი ვიტყვი — მუზები იმიტომ გამიფრინდნენ, რომ მეც ვუყურე საქართველოს ნაკრების თამაშებს, კიდევ იმიტომ, რომ არც ერთი ფეხბურთელის ნათესავი არ ვარ და კიდევ იმიტომ, რომ გული მწყდება, ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში ისეთი ქვეყნები დაგვწინაურდნენ, ადრე თუ არსებობდნენ, არც კი ვიცოდი. მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიაში საკმაოდ კარგად ვერკვევი.

ეგებ 18 წლის გოგოს აზრები სასაცილოდაც არ გეყოთ, ანდა გალიზიანდეთ, რა ამის საქმეა ფეხბურთიო და შეიძლება მართლებიც იყოთ, რეალურად ხომ ჩემი საქმე თოფჩიშვილისა და ასათიანის მოსაწყენი ლექციების მოსმენაა და არა ქართველი სპორტსმენების კრიტიკა. მაგრამ ძალიან მკაცრადაც ნუ გამსჯით. არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოს ნაკრებს (ნებისმიერს) ვუგულშემატკივრებ ყოველთვის, რაც უნდა დაფარჩაკდეს იგი და გამონაკლისი არც ეს შემთხვევაა, მაგრამ ეეჰ... ამწუთას მსოფლიოს სევდა მაქვს გულზე შემოწოლილი, თითქოს პირად ცხოვრებაში არ მეყოფოდა პრობლემები და გუშინწინდელის მერე... მე ეეჰ ... ხასიათზე ვარ, თქვენ?

ეჰ, ძვირფასო მარი, რომ გითხრა, ამ წუთამდე ცუდ ხასიათზე ვიყავიო, უნდა მოგატყუო — ცხოვრება ხომ მხოლოდ საქართველოს ნაკრების წაგებებისგან არ შედგება. მაგრამ შენი წერილის წაკითხვის მერე... არა უშავს, სანამ შენ ლექციების კურსს ჩაამთავრებ, იქამდე ეგებ ჩვენს ნაკრებსაც ეშველოს რამე.

**MEZVRO:** „სარბიელს“ გაუმარჯოს. იმდენად ბევრი დაგროვდა სათქმელი, რომ მიჭირს კიდეც გადავწყვიტო, რაზე ღირს ყურადღების გამახვილება. ბევრი ითქვა საქართველო — ყაზახეთის 0:0-ზე, უამრავ მიზეზს გამონახავს კაცი, რის გამოც გასაკრიტიკებელია გაიოზი თუ ფედერაცია. თუნდაც ეს: არ შეიძლება ასე ერთი ხელის მოსმით ნაკრებში ახალგაზრდა ფეხბურთელების მიწვევა, ამით ნაკრებიც ზარალდება და თანაც რისკია. შეიძლება მართლაც ნიჭიერ ახალგაზრდას თავში აუვარდეს დაუმსახურებლად ასეთ საფეხურზე ასვლა და ველარ განვითარდეს. ნებისმიერ კონკრეტულ მატჩში ის კაცი უნდა იღებდეს მონაწილეობას, ვინც იმ მომენტისთვის სხვაზე უკეთესადაა მზად.

ჟირესის სიტყვების სიმართლეში საბოლოოდ დავრწმუნდი: ახალკაცმა პირდაპირ სია დამიდო იმ ფეხბურთელების, ვინც უნდა მეთამაშებინაო. ეს ნოდარს ჟირესთან რომ არ გაუვიდა, მოიშორა და თავისი მარიონეტი კაცი დანიშნა მწვრთნელად, იმისთვის სულ არ შეუხედავს, იმსახურებს ეს პირი ამას თუ არა. მთავარი ახალკაცისთვის ისაა, რომ გაიოზი მისი შეხედულებით მოქმედებს. რაღა გამოდის, მართლა შემადგენლობას მწვრთნელი კი არა, ახალკაცი ადგენს. „ფეხბურთელების გამოძახებას მწვრთნელი სულაც არ სჭირდება“ — ესე თქვა ახალკაცმა და აასრულა კიდეც. რა შენი საქმეა, ნოდარ, ასეთ კომპეტენციას რომ ითავსებ?!

მოკლედ, ამ ხალხს ახალკაცის თამადობით აქვთ რაღაც გეზი და სულ არ აინტერესებთ სხვისი აზრი, არ ფიქრობენ, მათი ეს გადაწყვეტილებები სწორია, არაა სწორი, იქნებ ცდებიან, თავისას აწვებიან და ჩვენც თვალებში ნაცარს გვაყრიან, შავზე გვეუბნებიან, თეთრიაო. ღმერთმა ქნას, შედეგი მოიტანოს მათმა მუშაობამ, მაგრამ საფუძველშივე არასწორად დაწყებული საქმე მერე გამოსწორდება? არა მგონია.

ბერძნებთან წარმატების იმედი როგორ უნდა მქონდეს? იმის მეშინია, დანიაზე უარესი არ განმეორდეს. თუმცა წაავგონ, ჯანდაბას, იქნებ ან რამენაირად თვითონ აეხილოთ თვალი და მომავალი ციკლისთვის მაინც არ გაგვწირონ, ნორმალური მწვრთნელი დანიშნოს ახალკაცმა და აღარც მის კომპეტენციაში ჩარევა მოინდომოს, ან მეორე უარესი ვარიანტი: ხალხი ისე განარისხოს კიდევ ერთმა წაგებამ, რომ მართლა ხმა ამოიღოს და ძალით მოვიშოროთ ეს ვაისაქმისმკეთებლები.

გაიოზ, ნუთუ არ კითხულობ საერთოდ პრესას?! ნუთუ სინდისი საერთოდ არ გაქვს, ასე თავხედურად რომ ითავსებ ნაკრების მწვრთნელის ფუნქციას? ხალხის აზრი შენთვის არაფერს ნიშნავს? დანიასთან 1:6 „გვაჩუქე“, მერე ყაზახეთთან 0:0, ახლა კიდევ ბერძნებთან სირცხვილს მოგვართმევ... რაღაც მომენტში ხომ უნდა გეყოს კაცობა და შენით წახვიდე?!

ხალხო, გაჩუმება არ შეიძლება, ეს ჩვენი ქვეყანაა და ვილაცებს არ უნდა შევაჭმევინოთ იგი. ჩვენ თუ არ დავეპატრონეთ ჩვენსას, ასე მიგდებულს გაიოზის და ნოდარის ტიპის ხალხი დაეპატრონება. „სარბიელის“ კორესპონდენტებო, თქვენც უფრო მკაცრად შეაფასეთ მოვლენები, ეს ხალხი თუ თავისით არ წავა, რამენაირად წნეხის ქვეშ მოქცეულებს იქნებ სასიკეთო ნაბიჯები მაინც გადავადგმევინოთ. სხვანაირად ვიღუპებით და ეგაა...

კარგად, პატივისცემით, მეზვრო.

არა მგონია, ძალით მოშორება გამოვიდეს. საამისოდ, სულ მცირე, ძალა უნდა გქონდეს ისეთი, მოსაშორებელს რომ შეაშინებ. გულშემატკივარს კი, მაპატიეთ და, არა მგონია, ამის ძალა შესწევდეს. და თუ ფედერაციის პრეზიდენტად ახალკაცის ყოფნა აღარ გინდათ, ერთადერთი გზა არსებობს — „ზემოდან“ მეგობრულად უნდა „ურჩიონ“ წასვლა.

საბერძნეთში დანიაზე უარესად წაგების კი არ მეშინია — ამ ისედაც დაქცეულ ფეხბურთს ერთი ზედმეტი წაგება აღარაფერს უზამს, აი, იმისი კი მეშინია, ახალგაზრდები სანაკრებო მაისურით შემოსვამ არ გააყოყლოჩინოს.

**KOMENTATORI (kophili):** თქვენს ზრდილობას გაუმარჯოს!!!

ბატონო გაიოზ!!! ბატონო ნოდარ!!! ქალბატონებო და ბატონებო — ამ სასმისით შევსვათ იმ სულების სადღეგრძელო, დროულად რომ უნდა წასულიყვნენ და დანარჩენები გაგვისტუმრეს (სარბენ) ბილიკებს იქით!!!

P.S. ისე, ოზბორნიც ოზი უნდა იყოს და გაი...??? და კიდევ: უცენზუროებს არ ბეჭდავთ არა??? მაშინ...!!!

ასე არ ჯობია? უცენზურო სიტყვების მაგიერ სამი წერტილი დაწერეთ თქვენს წერილებში.

**BAGRATIONI888:** შეიძლება დაგვიანებულიც კი იყოს ჩემი წერილი, მაგრამ ნამდვილად არ შემეძლო, არ გამომეთქვა აზრი ჩვენს საფეხბურთო ნაკრებთან დაკავშირებით. იმედი ბოლოს კვდებაო, ნათქვამია და ვაი, რომ ამ საყოველთაო შეხედულებას ასრულება უწერია. ჩვენი ეროვნული გუნდისგან ამ 15 წლის მანძილზე, მართალია, არ ვყოფილვართ განებივრებულები კარგი თამაშით, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ასეთი ამაზრზენი და ყოვლად უნიჭოდ ჩატარებული მატჩი არ გვახსოვს. არანაირი ტაქტიკური მონახაზი, არანაირი მონდომება და იმპროვიზაცია ჩვენი ფეხბურთელების მხრიდან. მდგომარეობა მართლაც სავალალოა და ალბათ ასეც დარჩება... წინ გადადგმულ ნაბიჯებზე საუბარიც ხომ ზედმეტია და ამის თქმის საფუძველს საკმაოდ მრავალი გარემოება მაძლევს: უპირველეს ყოვლისა, ჩვენი 21-წლამდელების მიერ ნაჩვენები შედეგი რად ღირს, როცა ასეთი დაბალი დონის ფეხბურთელებთან საკუთარ მინდორზე აგებ, აქ უკვე ყველაფერი დამთავრებულია. და კიდევ ერთი: დიდი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ეს წელი ქართული ფეხბურთისთვის მართლაც დანავსული გამოდგა, ასე რომ, მომავალი წლის იმედით გემშვიდობებით.

ბაგრატიონი, ჩვენი მუდმივი ავტორი, ეჭვი მაქვს, აშკარა უმცირესობაშია — ჩვენი ავტორებიდან მის გარდა არავისთვის შეგვიმჩნევია, 2006 საფეხბურთო წელს იმედით ელოდეს.

**MARKO:** სტადიონზე მზესუმზირის ნაცვლად „გრეჩიხა“ რომ გაყიდონ, ამტანები ვიქნებით — ვიქნებით და ახია ჩვენზე. იმიტომ, რომ ამ დაცინვას და გაწუკითხაობას ვიტანთ. ყველაზე დიდი — ვიგინოთ, მერე გაზეთები წავიკითხოთ და ცოტა ხნით გავიბუტოთ. არა მეგობრებო, ფეხბურთი არ ყოფილა ჩვენი საყვარელი სპორტი. ქართველი გულშემატკივარი მიიჩნჩა, აღარ შეუძლია თავის დაცვა იმ აშკარა აგრესიისგან, რომელიც ქართული ფეხბურთის სახლიდან მოდის. „მარშრუტკის“ მძღოლებს და გარეჟაჭრობის მომხრეებს ძალუძთ, გამოხატონ პროტესტი და მერიასთან აქციები მოაწყონ. გულშემატკივართა არმია კი სულში ჩაფურთხებული ზის და შველას, გაურკვეველია, ვისგან ითხოვს. თუმცა რა გასაკვირია, ასევე უსუსურები არიან თავად ფეხბურთელები!!!

ფედერაციის პრეზიდენტმა მათ ბანქოს თამაში აუკრძალა??? სასაცილოა... ვისი რა საქმეა, ზრდასრული ადამიანი თავისუფალ დროს ბანქოს ითამაშებს, თექვსმეტობანას თუ ქალაქობანას. იგივე წარმატებით მალე შეიძლება მათ მუსიკის მოსმენა, გაზეთების კითხვა ან შეყვარებულზე ფიქრი აუკრძალონ. პრესკონფერენციაზე ამას სიამაყით გვამცნობენ, სამწუხარო კი ის არის, რომ ამ უგუნურების თვითნებობას ვერავინ ეწინააღმდეგება. ასეთი მორჩილი, მონური ფსიქოლოგიით კი გუნდი ვერანაირ წარმატებაზე ვერ იფიქრებს.

ბოლო მატჩის შემდეგ გასახდელში შესული პიროვნება, რომელმაც არ იცის, კაცს რამდენი „საროჩკა“ უნდა ეცვას, თავის დანიშნულ „გენიოსს“ ბიჭების თვალწინ ეუბნება მთავარია, მე კმაყოფილი ვარ, ხალხი რას იტყვის... „ერთ ადგილას“ მკიდიაო.

პირადად მე არ მომისმენია, საროჩკებიანმა კაცმა რა უთხრა თავის გენიოსს გასახდელში, მაგრამ თუ მართლა ასეთი რამ უთხრა, ის „ერთი ადგილი“ ...

**SAMKHARADZE31:** საშა ჩივაძეს 10 წლის წინ თურქეთის ჩემპიონატზე ჰკითხეს აზრი და უპასუხა: ქიშმიშები არ მაინტერესებსო. ისე, ბატონი საშას მწვრთნელობის დროს ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები კი გვყავდა. საინტერესოა, გ. დარსაძე თუ უყურებს საერთოდ ფეხბურთს? ყაზახეთთან თამაშის შემდეგ პრესკონფერენციაზე უტიფრად აცხადებს, რომ ბედნიერია. 1:6, 0:0, 0:?? ნეტა თუ დარჩება ბედნიერი საბერძნეთთან თამაშის შემდეგ? ბერძნებმა, გარდა იმისა, რომ დანიამ და თურქეთმა უნდა შეუწყონ ხელი, ჩვენ მინიმუმ 8 ბურთით უნდა მოგვიგონ. ის ორი კითხვის ნიშანიც ამიტომ დავსვი, მეშინია ათამდე არ დაგვიმრგვალონ. ერთი რამ ფაქტია, ახალკაცის და გაიოზის ხელში ჩვენს ნაკრებს შანსი არ აქვს. არც ეხლა და არც ასი წლის შემდეგ.

P.S. რა მოედნებზე წუწუნებენ, მორაგბეებს საერთოდ არა აქვთ სტადიონი, მაგრამ მსოფლიოს თასზე კი ითამაშეს.

ბედნიერად.

ავტორი მინდა დავამშვიდო: ასი წლის მერე ბატონი ნოდარი და ბატონი გაიოზი ნაღდად აღარ იქნებიან ქართული ფეხბურთის სათავეში. მაგრამ ასი წლის მერე, ვაი რომ, მე და თქვენც აღარ ვიქნებით.

**NAVROZA:** კაი გამარჯობა

# @hotmail.com




ბადრი კოპილაძის ფოტო

შენი პატივცემული. ჩვენი საქმე ისეა, სეტყვა რომ ვენახს აჩანაგებდა და მუშტს მღვდელს უქნევდნენ, დიდი ვადასახადიაო...

ამ ორი ახალგაზრდის „ბრალი“ ის არის, რომ მავანთ მაინცდამაინც მათი, „ნოდარიე-გაიოზას“ ტანდემი აურჩევიათ ხელის შესანშენდად...

მთავარი უბედურება ეს ორი კაცი არაა, რომ ვუკიჟინებთ ნადი, ნადიო (მანამ არ აგვიდგა ვვერდები)... მთავარი არც ისაა, დანიასთან რომ 1:6-ს ვაგებთ, ბერძნები რომ დაგვანგრევენ და იმ ხალხისთვის ვერ მოგვიგია, ბურთი რომ საზამთრო ჰგონიათ ჯერაც (რომ გვიკვირდეს ეს ამბავი, უარესია მხოლოდ)...

არც ისაა მთავარი, შოთიკო რომ ბოლოჯერ „აყვავდა“ და ეს ბოლო შანსი არ მიეცა, ან „მოხუცებული“ ქინქლაძე რომ არაა ნაკრებში და ასათიანი რომ 10 ნომრად ჯობია და ნინ არ ათამაშებენ...

არც ის, ვიღაც რომ სპონსორს ვერ პოულობს ამ ყველაფრის დასაწყობად...

უბედურება ისაა, ჩემნაირი, შენნაირი, ჩემს მერე რომ ავტორია, იმისნაირი, ჩვეულებრივი, ნაღდი გულშემატკივარი რომ დაავადდეს აპათიით, უიმედობით, ხელჩაქნეულობით. სტადიონის გზა რომ გვავიწყდება და არანაირი იმედი, ჯიგარი, მულამი, ხალისი, ინტერესი, აზარტი არ შეგვრჩა „საბალეშჩიკოდ“.

განუვრავასი კი არა, ჩემი თაობა მეცოდება, მაგარ „ფუტბოლს“ რომ ვერ ნახავს, თორემ განუგრავა წავა გერმანიის რეგიონალლიგაში 4500-ევროიანი ხელფასით და იცხოვრებს ბედნიერად...

თუმცა განუგრავა რა შუაშია?

პატივისცემით, ნავროზა.

მართლაც და, რა შუაშია განუგრავა. იწვევენ და როგორ გინდა, 17 წლის ბიჭმა უარი თქვას?

**BOBAH–GEORGIAN**: გამარჯობა „სარბიელს“. დიდ პატივს ვცემ თქვენს გაზეთს და იმასაც გაგიგებთ, ამ ჩემს წერილს თუ არ დაბეჭდავთ და გადამეტებულად ჩათვლით, მაგრამ არ შემიძლია ჩემი გულისტკივილი არ გაგიზიაროთ და ერთი-ორი სიტყვა არ გითხრათ თქვენც და მთელ საქართველოსაც... წინასწარ ვიტყვი, რომ ეპიტაფიების წერაში მთლად დახელოვნებული არ ვარ, ასე რომ, ნუ დამძრახავთ, რამე სტილისტურ შეცდომას თუ დავუშვებ. მაშასადამე, ვიწყებ:

საქართველოში ფეხბურთი აღარაა, ფეხბურთი ნორმალური, მსოფლიოში მიღებული გაგებით, თორემ, პაროდია და იდიოტების პარადი, იცოცხლეთ, ჩვენთანაა და თან როგორ. ყაზახეთთან მატჩი იყო მთლიანად ჩვენი ეროვნული ნაკრების გასვენება. გარდაცვალებით ნაკრებმა დანიაში დალია სული, ხოლო დასაფლავება აგერ ათენში იქნება და ეგაა...

ამ რამდენიმე დღის წინ ნაზარბაევი რომ სტუმრობდა საქართველოს, ჩემს ძმაკაცებსაც ვუთხარი და რამდენიმე სპორტულ ფორუმზე გამოვხატე ჩემი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ პირველ „ევროპულ ქულას“ ყაზახეთი სწორედ რომ მოიხვეჭდა, აბა, 150 მილიონი დოლარის ინვესტიცია სახუმარო საქმე ხომ არაა... ჰოდა, ნეტავ, თქვენ ყველას ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ამ ჩემმა პროგნოზმა გაამართლა!

ფეხბურთელებმა უშუალო ბრძანება მიიღეს-თქო, ამის მტკიცებას, ცხადია, ვერ დავიწყებ, მაგრამ ის, რაც შაბათს „პაიჭაძეზე“ ვნახეთ, სხვა არაფერი იყო, თუ არა ქართველი გულშემატკივრის, მთლიანად საქართველოს გამასხარავება.

არც ტაქტიკა, არც სტრატეგია, არც მონდომება, არც ჟინი... ყველა, მწვრთნელით დაწყებული და სათადარიგო ფეხბურთელით დამთავრებული, თავის ლოკალურ ამოცანას წყვეტდა: ზოგმა პირველად მოირგო ნაკრების მაისურა, ზოგმა შეინარჩუნა სანაკრებო მატჩების პროცენტული მაჩვენებელი, ზოგმა ფედერაციის ხარჯზე თბილისი და ნათესავ-ახლობლები მოინახულა. მოკლედ, ნაგებების მეტი რა ახსოვს ქართულ ფეხბურთს, მაგრამ ეს ფრე ყველაფერზე უარესი იყო ჩემი აზრით.

ბოლომდე ველოდებოდი სიმართლის თქმას, დარსაძის აღიარებას, ახალკაცი-ჯუნიორის საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას, მაგრამ რად გინდა, თურმე გაიოზი ამბობს, რომ გუნდში გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ინტეგრაციის პროცესი მიდის, რითაც იგი კმაყოფილია!!! ყველაფერი გამოუყენებელი მომენტების ბრალია, მაგრამ ასეთი რამ თურმე ფეხბურთში არცთუ ისე იშვიათად ხდება და მთავარი ისაა, რომ ნაკრები კანტორა აღარაა და (ციტატა) ნაკრებში ტალანტებს გზა ხსნილი უნდა ჰქონდეთ!!!

ძვირფასო სარბიელელებო, ფეხბურთში პროფესიონალიზმზე თავს ვერ დავდებ და იქნებ თქვენ მითხრათ, ვინ, რომელი ტალანტი მოვიდა ნაკრებში გაიოზის ხანაში? ამ ყოველივეს თავი დავანებოთ და სირცხვილი არაა, როდესაც ყაზახეთის მწვრთნელი აკადემიკოსის იერით ჩვენ, ქართველებს გვეუბნება, რომ ქართველები ფეხბურთში მაგრები ვართ, მაგრამ ბუნებით ანარქისტები ვყოფილვართ და საქმისადმი არასერიოზული მიდგომა სისხლში გვაქვს. არა, ჩემო ბატონო ტიმოფეევო, ყველანი ანარქისტები ნამდვილად არა ვართ. ჩვენი დღევანდელი პრობლემა იმაშია, რომ თითქმის ყველგან, მთავრობაში, პარლამენტში, მერიაში, ფეხბურთის ფედერაციაში თუ ეროვნული გუნდის მწვრთნელის სკამზე მცოდნე კი არა, ქვეყნის პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირი თუ ქვეყნის პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირის ახლობელი ზის. სულ ეგაა, მორჩა და გათავდა!

ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ბატონი მერაბ ჟორდანიას მმართველობის ხანას ნოსტალგიით გავიხსენებდი...

ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავის იმედილა დაგვრჩა. ფეხბურთის ფედერაცია ხომ საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, ჰოდა, ჩვენ, საზოგადოებამ ავიმაღლოთ ხმა, მიტინგი მოვაწყოთ თუ ოფისი ჩავურაზოთ, ფეხბურთის დამანგრეველი და არაფრის მცოდნე (ფეხბურთში) იურისტი ახალკაცი გადავაყენოთ! ვიმოქმედოთ!!!

ახლახან ბაქოში ვიყავი და არ ვიცი, ალიევი მამიკოს დასმულია, კლანური მმართველობის მომხრეა თუ სხვა რამ ცოდვა ადევს კისერზე, მაგრამ ფაქტია, რომ აზერბაიჯანში ფეხბურთი ვითარდება და თან ძალიან სწრაფი ტემპით ხდება ელემენტალური პროგრამის ხორცშესხმა: ახალი სტადიონები, რაც შეიძლება მეტი, ბავშვებისთვის უფასო ფორმა და ბურთი, კვალიფიცირებული მწვრთნელების ადგილობრივ „ც“ კატეგორიის კურსებზე კი არა, გერმანიაში და იტალიაში მომზადება. სულ ეგაა!!!

ჰოდა, საქართველოში ჯერ კიდევ არის იმედი (ტელევიზიაში არ შეგეშალოთ, იმ იმედზე არ ვლაპარაკობ, თორემ ის სხვა იმედია და მას ერთი პატრონი ჰყავს). იმედს, ნამდვილ იმედს ნუ დავკარგავთ ხალხნო, ვიმოქმედოთ!!!

და ბოლოს, მხოლოდ ერთს დავამატებ: მაბათის თამაშის მეორე დღეს სახინკლეში ვიჯექით ძმაკაცები, ჭამის ხასიათზე არავინ ვიყავით, უფრო დავლიეთ და კომაში მყოფ ქართულ ფეხბურთზე ვილაპარაკეთ და ერთ-ერთმა თქვა, ჩვენ, საბურთალოელები, ა.ქ. ისნის რაიონში ერთ-ერთ ცნობილ სომხურ დუქანში ხინკლის საჭმელად რომ დავდივართ, განა სირცხვილი არაა, რომ თბილისში სომეხი ქართველზე მაგარ ხინკალს აკეთებდესო? არა-მეთქი, არაა სირცხვილი , სირცხვილი მაშინ იქნება, როდესაც თბილისში კარგ ხინკალს საერთოდ ვეღარ შევჭამ-თქო, ვუპასუხე...

ჰოდა, ნუ დავუშვებთ ამას!!!

ბაქოში ამასწინათ მეც ვიყავი და რომ ვთქვი, თბილისზე მაგარი ქალაქიაო, ქოქოლა დამაყარეს. მაგრამ ბაქოს თავი დავანებოთ — დღეს ხელისუფლების ნდობით აღჭურვილთა ნაკრები ევროპის ჩემპიონს ხვდება...

**WEB-ოსტატი ბუარა**

# კასანო რომას ემდურის



**ანტონიო კასანომ** კვლავ გამოავლინა „მურაბა“ ხასიათი და „რომას“ კონტრაქტის გაგრძელებაზე ისევ უარი სტკიცა.

ახალი ხელშეკრულება ანტონიოსათვის წელიწადში ორმილიონნახევარი გირვანქის გადახდას ითვალისწინებდა და ორ წელიწადზე იყო გათვლილი. თავად ფეხბურთელს თანხაც ეცოტავა და ვადაც.

არსებული კონტრაქტი კასანოს კლუბთან 2006 წლამდე აკავშირებს, გაისად კი უკვე თავისუფალი აგენტი იქნება. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, თუ რატომ ურჩევნია რომაელს „ხვალინდელი ქათამი“.

ანტონიოს მსურველი ბევრი ჰყავს. ამ ზაფხულს იგი კინაღამ „იუვენტუსში“ გადავიდა, მაგრამ რატომღაც ეს გარიგება ჩაიშალა, თუმც „ბებერი ქალბატონი“ მისდამი ინტერესს ძველებურად იჩენს. არც „მილანი“ და „ინტერი“ იტყოდნენ მასზე უარს. ერთი სიტყვით, კასანოს შეუძლია, მოიცადოს, მაგრამ... ვაითუ იაკინტას ბედი გაიზიაროს — არც გაუშვან და არც ათამაშონ. ეგ არის, პირველი შეიწყალეს, კასანოს კი შეიწყალებენ?

თუ ასე მოხდა, ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის შანსები თვალსა და ხელს შუა გაქრება. ეს კი, 1982 წლის მუნდიალის ტრიუმფატორ პაოლო როსის აზრით, საშინელება იქნება:

„მე რომ მკითხოთ, დელ პიეროსა და კასანოს შორის არჩევანს ამ უკანასკნელზე შევაჩერებდი და გერმანიაშიც მას წავიყვანდი. მაგრამ თუ თავისი კონტრაქტის საქმეებს დროულად ვერ მოაგვარებს და უთამაშებელი იქნება, ძნელი სავარაუდოა, რომ ლიპიმ ის ნაკრებში იხმოს.

**ზურაბ გოცირიძე**



# ნესტა მრთი თვით...

**„მილანს“** დიდი პრობლემა შეექმნა, ალესანდრო ნესტა მინიმუმ ოთხ კვირას ვერ ითამაშებს.

„სკუადრა აძურას“ მცველმა მარცხენა ხელზე მყესის დაზიანება მიიღო და ოპერაციას საჭიროებს, რომელსაც ოთხშაბათს გაუკეთებენ.

აქედან გამომდინარე, იგი სერია A-ს მეათე ტურის უმნიშვნელოვანეს მატჩს გამოაკლდება „იუვენტუსის“ წინააღმდეგ (შეხვედრა ოქტომბერში გაიმართება).

შიდა იტალიური დაპირისპირებების გარდა ალესანდრო ორ საჩემპიონთალიგო შეხვედრასაც გამოტოვებს.

კარლო ანჩელოტის თავსატეხი გაუჩნდა, ვინ დააყენოს ნესტას ადგილზე. ეგებ სტამი და მალდინი შეაწყვილოს ცენტრში, ან სულაც ვეტერანი (39 წლის) კოსტაკურტა ან დარიო შიმიჩი გაათავისუფლოს ტრიბუნის ჯურღმულიდან.

**ზურაბ გოცირიძე**



# ძანეტი სადაცაა, დაბრუნდება

**ხავიერ ძანეტი** ეგებ უფრო მალე დაუბრუნდეს მოედანს, ვიდრე ვარაუდობდნენ, რადგანაც მისი გამოჯანმრთელება საოცარი ტემპებით მიდის.

არგენტინელი ჩემპიონატის პირველ ტურში დაშავდა. ექიმებს ეგონათ, რომ სამ თვეს ვერ ითამაშებდა, მაგრამ ხავიერი ფაქტობრივად უკვე მწყობრშია. კვირას გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში შვეიცარული „კიასოს“ წინააღმდეგ ოცდაათი წუთი ითამაშა.

ვთვლი, რომ ხავიერი ჩინებულად გაისარჯა. კაცს ორომცი დღეა, არ უთამაშია და, ბუნებრივია, ცოტა დრო სჭირდება, რომ მოედანზე ფეხი მოიკიდოს — განაცხადა მატჩის შემდეგ რობერტო მანჩინიმ, რომელიც არგენტინელის არყოფნაში იძულებული გახდა, გადაადგილებები მოეხდინა: ზე მარიას ათამაშებდა ცენტრში, ხოლო ცენტრალურ მცველ ივან კორდობას — მარჯვენა ფლანგზე.

ძანეტის გარდა მანჩინის სხვა დანაკლისიც აქვს, დაშავებულნი არიან კრისტიანო ძანეტი და დეიან სტანკოვიჩი. ეს უკანასკნელი შესაძლოა ორი თვით გამოეთიშოს აქტიურ სპორტს ბარძაყის დაზიანების გამო.

**ზურაბ გოცირიძე**

# მილანი ანჩელოტის მნდობა

**„მილანის“** ოფიციალურმა წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ კარლო ანჩელოტი გუნდში 2007 წლამდე რჩება.

მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ იგი „სან სიროს“ მიმდინარე სეზონის ბოლოს დატოვებდა. თუმცა ადრიანო გალიანიმ ხაზგასმით აღნიშნა, კარლიტო არსადაც არ მიდის:

„მილანმა“ გადაწყვიტა, გარჯა დაუფასოს ანჩელოტის. 2007 წლის 30 აგვისტომდე ნამდვილად ჩვენთან დარჩება. იმედი მაქვს, საქმე კარგად წავა და კონტრაქტსაც გავაგრძელებთ“.

იტალიის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ „როსონერი“ 2001 წელს ჩაიბარა.მან ამ პოსტზე ფატიჰ თერიმი შეცვალა.

მისი ხელმძღვანელობით „მილანმა“ სკუდეტო, კოპა იტალია და ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

...და თუ კარლოს მაინც კარისკენ მიუთითეს, მის სავარაუდო



შემცვლელებად მისივე ამჟამინდელი თანაშემწე მაურო ტასოტი, ჰოლანდიელი მარკო ვან ბასტენი, რობერტო დონადონი და ფრანკ რაიკაარდი სახელდებიან.

ყველა მათგანი 80-იან წლებში ანჩელოტის გვერდით თამაშობდა ლეგენდარული „მილანის“ შემადგენლობაში.

**ზურაბ გოცირიძე**

# ინტერი სალგადოს მკურკურება

**იტალიური** მედიის ცნობით საცაა „ინტერი“ რეალელ მიჩელ სალგადოს შეიძენს. ესპანელის აპენინებზე გადაბარგებაზე ადრეც ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ძირითადად „იუვენტუსს“ ახსენებდნენ, ახლა კი ახალი მუშტარი გამოჩნდა.

მას შემდეგ, რაც კაპელოს ექსპერიმენტმა გაამართლა (მანუელე ბლაზი შესანიშნავად მოერგო მცველის პოზიციას, სადაც ნახევარდაცვიდან დაიწია), ძნელი სავარაუდოა, „ბებერი ქალბატონი“ ახალი მცველის შეძენაზე დაიხარჯოს. თან „ინტერს“ სწორედ ამ წერტილში უჭირს. ხავიერ ძანეტი ტრავმირებულია, შემცვლელი კი არ ჰყავთ. იტალიაში უკვე იმაზეც ჩურჩულებენ, რომ კლუბებს შორის მოლაპარაკება დაწყებულა.

„რეალის“ წარმომადგენლები კი სალგადოს გაყიდვას უარობენ. ყოველ შემთხვევაში, სანამ ბრაზი-



ლიელი სისინიოს ყიდვის ამბავს არ მოაგვარებენ.

თუ მიჩელი მაინც გადავა „ინტერში“, ის წლეულს მეხუთე რეალელი იქნება კამბიასოს, სოლარის, სამუელსა და ფიგუს შემდეგ.

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, სალგადო „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ უნდაო.

**ზურაბ გოცირიძე**

## იტალია

**სერია B. IX ტური**

**პიაჩენცა 0:0 რიმინი**

**ჩეზენა 2:1 ბარი**

0:1 კიარამიტარო (17), 2:0 ბერნაკი (70), 2:1 სანტორუვო (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 9 | 6 | 3 | 0 | 14:6 | 21 |
| მოდენა | 9 | 5 | 4 | 0 | 10:3 | 19 |
| ჩეზენა | 9 | 6 | 0 | 3 | 16:12 | 18 |
| ატალანტა | 9 | 6 | 0 | 3 | 13:11 | 18 |
| ტორინო | 8 | 5 | 2 | 1 | 9:3 | 17 |
| კატანია | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 15 |
| ვერონა | 9 | 4 | 3 | 2 | 9:5 | 15 |
| ტრიესტინა | 9 | 4 | 3 | 2 | 8:4 | 15 |
| კროტონე | 9 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 14 |
| არეცო | 9 | 3 | 4 | 2 | 10:7 | 13 |
| ბრეშა | 9 | 3 | 4 | 2 | 11:9 | 13 |
| პიაჩენცა | 9 | 3 | 3 | 3 | 11:12 | 12 |
| ბოლონია | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | 12 |
| პესკარა | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| რიმინი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:12 | 10 |
| ვიჩენცა | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | 8 |
| აველინო | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | 8 |
| ბარი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:10 | 6 |
| კრემონეზე | 9 | 1 | 3 | 5 | 7:12 | 6 |
| ალბინოლეფე | 9 | 0 | 5 | 4 | 5:10 | 5 |
| ტერნანა | 9 | 1 | 2 | 6 | 5:16 | 5 |
| კატანძარო | 9 | 1 | 1 | 7 | 5:14 | 4 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაკედონიას ემუქრებიან



არიენ რობენი ქომაგებს ზეიმს ჰპირდება

**I ჯგუფი**

**ფინეთი — ჩეხეთი**

**სავარაუდო შემადგენლობა**

**ფინეთი:** იასკელაინენი; კალიო, ჰიიპია, კუივასტო, ნიმანი, საარინენი, ტაინიო, ჰეიკინენი, ლაგერბლომი, იოჰანსენი, ფორსელი

**ჩეხეთი:** ჩეხი; გრიგერა, როზენალი, უიფალუში, ირანეკი, პობორსკი, გალაშეკი, როსიცკი, იაროლიმი, შმიცერი(ან შტაინერი), ჰაინცე

**ანდორა — სომხეთი**

**ჰოლანდია — მაკედონია**

**ჩეხეთს** ჰელსინკში მხოლოდ გამარჯვება სჭირდება საიმისოდ, რომ მეორე ადგილი დაიბრუნოს. არადა კარელ ბრიუკნერს ფორვარდები გზადაგზა „შემოეფცქნა". ტრავმირებულ იან კოლერს და ვლასტილავ ლოკვენცს მილან ბაროშიც გვერდით მიუჯდა.

„ყველა ფეხბურთელმა იცის, რა ვითარებაში ვართ. ამიტომ მოტივაციის ძებნა არ გვჭირდება" — თქვა ბრიუკნერმა, რომელიც შეტევაში მარეკ ჰაინცს და ირჟი შტაინერს გაამწესებს. მსუბუქად დაშვებული ვლადიმირ შმიცერიც სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

ფინელებს კვლავაც არ ეყოლებათ ის ოთხი მოთამაშე, რომლებმაც რუმინეთთან მატჩი გამოტოვეს. მათ ფორვარდი ალექსეი ერემენკოც დაემატა, რადგან ავარია მოსვლია და პოლიციაშია.

ალბათ ფინელებიც არ უქომაგებენ ისე თავიანთ გუნდს, როგორც რუმინელები. მათი ბედი ამ მატჩზეა დამოკიდებული.

„ჩვენ გასულ შაბათს ვითამაშეთ ფინეთს და ვიცით, რომ მათ ჩეხებთან ფრის გაჩერება კი არა, მოგებაც შეუძლიათ" — განაცხადა რუმინეთის მწვრთნელმა ვიქტორ პიცურკამ.

ჯგუფში პირველ ადგილზე მოგუჩებული ჰოლანდია შესარჩევი ტურნირის გამარჯვებით დასრულებას და მეთერთმეტე მატჩის მოგებას აპირებს.

„ჩვენ გვსურს, რომ ფანებს ლამაზი საღამო ვაჩუქოთ. ჩვენი ვალია" — თქვა არიენ რობენმა, ხოლო რუუდ ვან ნისტელროოიმ კი დაამატა: „გერმანიის საგზური გასულ შაბათს გავინაღდეთ, მაგრამ ნაღდი დღესასწაული დღეს, ამსტერდამში უნდა მოვაწყოთ და ბევრი გოლი გავიტანოთ. გასულ წელს მაკედონიაში ფრეს დავჯერდით, ახლა კი რევანში გვწყურია. მხოლოდ მათ შეძლეს ჩვენთვის ქულის წართმევა. მთელ ტურნირში სამი გოლი გაგვიშვით და ამათგან ორი — სწორედ მაკედონელებმა გაგვიტანეს".

ჰოლანდიელებს დისკვალიფიცირებული ფილიპ კოკუ და [illegible] მკამპი დააკლდებათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰოლანდია** | 11 | 10 | 1 | 0 | 27:3 | 31 |
| რუმინეთი | 12 | 8 | 1 | 3 | 20:10 | 25 |
| ჩეხეთი | 11 | 8 | 0 | 3 | 32:12 | 24 |
| ფინეთი | 11 | 5 | 1 | 5 | 21:16 | 16 |
| მაკედონია | 11 | 2 | 2 | 7 | 11:24 | 8 |
| ანდორა | 11 | 1 | 2 | 8 | 4:31 | 5 |
| სომხეთი | 11 | 1 | 1 | 9 | 6:25 | 4 |

## სიომინს აჭამეს



**III ჯგუფი**

**სლოვაკეთი — რუსეთი**

**პორტუგალია — ლატვია**

**ლუქსემბურგი — ესტონეთი**

**იური სიომინს** გუშინწინ ჟურნალისტებმა უიხრეს 2:2 ან უფრო უხვგოლიანი ფრეც მეორე ადგილზე გაგვიყვანსო, მაგრამ მოატყუეს. სიომინის გუნდს მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. სლოვაკეთს, ქულაც ჰყოფნის ადგილის შესანარჩუნებლად.

მასპინძლებს ფორვარდი მარეკ მინტალი და ნახევარმცველი ვრასტისლავ გრეშკო დააკლდებათ.

სტუმრებს დისკვალიფიციამოხდილი ალექსეი სმერტინი და ევგენი ალდონინი დაუბრუნდათ. სერგეი იგნაშევიჩი და დინარ ბილიალეტდინოვი ლუქსემბურგთან დაასვენეს დღეს კი ალაბთ ითამაშებენ.

„ჩვენეულ, მაღალტემპიან ფეხბურთს თუ შევთავაზებთ მეტოქეს, ვფიქრობ, მოვიგებთ" — თქვა მარატ იზმაილოვმა, რომელმაც გასულ შაბათს ლუქსემბურგს პირველი გოლი გაუტანა.

ამ ჯგუფის მეორე მატჩს ინტრიგა პედრო პაულეტამ შეუნარჩუნა, რომელმაც ლიხტენშტაინთან 41-ე სანაკრებო გოლი ვერ გაიტანა და დღეს ეცდება ეს გააკეთოს, რითაც ლეგენდარული ეუსებიოს რეკორდს გაიმეორებს. ეუსებიოს 64 სანაკრებო შეხვედრაში 41 გაუტანა, პაულეტას კი 76-ში — 40.

გერმანიაგანაღდებულ პორტუგალიას ზეიმი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გუმკრთალა. ჟილბერტო მადაილმა თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სკოლარი უნდა წავიდესო. სიმაო საბროსამ კი ვითარება შეარბილა, ეს მხოლოდ გაუგებრობაა, პრეზიდენტი და მწვრთნელი მორიგდებიანო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პორტუგალია** | 11 | 8 | 3 | 0 | 32:5 | 27 |
| სლოვაკეთი | 11 | 6 | 4 | 1 | 24:8 | 22 |
| რუსეთი | 11 | 6 | 4 | 1 | 23:12 | 22 |
| ლატვია | 11 | 4 | 3 | 4 | 18:18 | 15 |
| ესტონეთი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:17 | 14 |
| ლიხტენშტაინი | 12 | 2 | 2 | 8 | 13:23 | 8 |
| ლუქსემბურგი | 11 | 0 | 0 | 11 | 5:46 | 0 |



ფრანგების მთავარი იმედი ისევ ზინედინ ზიდანია (№10)

## მამლების ბედი დუბლინში წყდება

**IV ჯგუფი**

**საფრანგეთი — კვიპროსი**

**სავარაუდო შემადგენლობა**

**საფრანგეთი:** კუპე, ტურამი, სანიოლი, ბუმსონგი, გალასი, დიარა, ვიეირა, ფ. მალუდა, ზიდანი, ვილტორდი, ჯ. სისე

**ირლანდია — შვეიცარია**

**საფრანგეთის** ნაკრებმა იმდენი ქნა, რომ საბოლოოდ შეიძლება მუნდიალს მიღმაც დარჩეს. დღეს „მამლებმა" აუცილებლად უნდა მოიგონ, რომ თუნდაც მეორე ადგილზე გავიდნენ და პლეი ოფში ითამაშონ. პირველ ადგილზე კი რაიმონ დომენეკის შეგირდები იმ შემთხვევაში აღმოჩნდებიან, თუ შვეიცარია დუბლინში ირლანდიას ვერ მოუგებს.

ბუნებრივია, დიდი შანსია, შვეიცარიამ დუბლინში ვერ გაიმარჯვოს (თანაც ირლანდიას თავად სჭირდება მოგება), ხოლო თუ ეს მაინც შეძლო, ფრანგებს ამ სხვაობაზე ოთხი ბურთით და მეტით მოუწევთ კვიპროსის დამარცხება.

ლურჯებს მოგება და ბევრი გოლი კი უნდათ, მაგრამ ორი წამყვანი ფორვარდი კვლავ დაშავებული ჰყავთ. დავიდ ტრეზეგე და ტიერი ანრი თავის ნაკრებს ისევ ვერ დაეხმარებიან. ახლა ფრანგები სილვენ ვილტორდისა და ჯიბრილ სისეს იმედზე არიან. პირველ რიგში კი, ცხადია, ზინედინ ზიდანის ჯადოქრობას ელიან.

„რაც შეიძება, მეტი გოლი უნდა შევაგდოთ და თავში ყველა შესაძლო ვარიანტი გვიტრიალებდეს. მთავარი კი ის არის, რომ ეს მატჩი მოვიგეთ. თამაშის დროს დუბლინში მიმდინარე შეხვედრაზე ფიქრი არ ღირს, ჩვენსას უნდა ვეცადოთ" — განაცხადა დომენეკმა.

ამასობაში ლილიან ტურამმა ნაკრებში დაბრუნება ვერ მოასწრო, რომ ისევ მიდის. თუმც ამჯერად ალბათ საბოლოოდ. ფრანგული მხარის ცნობით, 33 წლის მცველი ოფიციალურ განცხადებას კვიპროსთან მატჩის შემდეგ გააკეთებს.

„თითქმის სანაკრებო მატჩისთვის ფარერებთან, უფრო მეტ ენერგიას ითხოვს, ვიდრე, ვთქვათ, „იუვენტუსისა" და „მილანის" დაპირისპირება" — თქვა ცოტა ხნის წინ ტურამმა.

შვეიცარია კი დუბლინში სრული შემადგენლობით ეწვია და ყველანაირად ეცდება, მასპინძლები დაამარცხოს. იგივეს აპირებს ირლანდიაც, მაგრამ ბრიტანელებს ორი წამყვანი შემტევი მოთამაშე — დამიენ დაფი და რობი კინი ჰყავთ დაშავებული.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 10 | 4 | 6 | 0 | 15:10 | 18 |
| შვეიცარია | 9 | 4 | 5 | 0 | 18:7 | 17 |
| საფრანგეთი | 9 | 4 | 5 | 0 | 10:2 | 17 |
| ირლანდია | 9 | 4 | 4 | 1 | 12:5 | 16 |
| კვიპროსი | 9 | 1 | 1 | 7 | 8:16 | 4 |
| ფარერები | 10 | 0 | 1 | 9 | 4:27 | 1 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა



ალესანდრო დელ პიერო (მარცხნივ) სამოლდოვოდ ემზადება

## ლიპი სათადარიგოებს აკვირდება

V ჯგუფი
**იტალია — მოლდოვა**
საჯარაუდო შემადგენლობა
**იტალია:** დე სანქტისი, ძაკარდო, მატერაცი, ბონერა, გროსო, ბარონე, დე როსი, ბლაზი, დელ პიერო, ვიერი, იაკინტა
**ბელარუსი — ნორვეგია**
**სლოვენია — შოტლანდია**

**საჯარაუდოდ** დღეს მოლდოვას წინააღმდეგ მარჩელო ლიპი მთლიანად განახლებულ შემადგენლობას გამოიყვანს. სლოვენიასთან მოგების შედეგად იტალიამ მუნდიალზე თამაში გაინაღდა, ამიტომ ხვალინდელ შეხვედრაში „სკუადრა ადზურას" რეზერვისტთა მოძალება იქნება.

პალერმოელ მარცხენა მცველ ფაბიო გროსოს ისევ ვიხილავთ შემადგენლობაში. ძირითადში ასევე მოხვდება ალექს დელ პიერო, რომლის რეზერვისტობასაც უკვე შევეგუეთ.

ძირითადი ყურადღება სწორედ „პინტურიჩოსკენ" იქნება მიმართული. ალექსს უკანასკნელი შანსი ეძლევა, კონკურენტს, ანტონიო კასანოს აჯობოს და გერმანიაში მიმავალ მატარებელს ბოლო წამს შეახტეს.

„მე გამუდმებით რაღაც დუელებში მხვევენ. არ მესმის, რატომ მაინცდამაინც მე? ყოველთვის მოიძებნება ხალხი, ვინც ამგვარი რამეებით სიამოვნებას იღებს. ისე, რატომ არ შეიძლება, მე და კასანომ ერთად ვითამაშოთ" — უკვირს დელ პიეროს.

მართლაცდა, ვისთან არ მოუხდა „რუვეს" კაპიტანს ჰიდილი: ბაჯასთან, ტოტისთან, ახლა კასანო...

„რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ მუნდიალის საგზური უკვე მოპოვებული გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხვალინდელი თამაში უმნიშვნელოა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. აუცილებლად უნდა გავიტანო. უკვე ოცდაათს გადაცილებული ვარ და თავიდან მიწევს ყველაფრის დამტკიცება. რას იზამ, ეგრეა! ჯერ ახალგაზრდობაში გიწევს და მერე, როცა ყველას ჰგონია, რომ უკვე დაბერდი. რაც შეეხება ჩვენს შანსებს გერმანიაში, ვიტყვი, რომ კარგი გუნდი გვყავს. ამას სულ ვამბობთ, მაგრამ ალბათ დროა, რომ სიტყვა საქმედ ვაქციოთ".

ჯგუფის დარჩენილ ორ შეხვედრაში მეორე ადგილოსანის ვინაობა გაირკვევა. ეს კი წესით ნორვეგია იქნება, რომელიც უდანაკარგოდ ეწვევა უმოტივაციოდ დარჩენილ ბელარუსს და ერთ ქულასაც სიამოვნებით დაჯაბულდება. სლოვენია კი სლავების იმედად შოტლანდიის წაქცევას შეეცდება, ვინ იცის...

**ზურაბ გოცირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 9 | 6 | 2 | 1 | 15:7 | 20 |
| ნორვეგია | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 15 |
| სლოვენია | 9 | 3 | 3 | 3 | 10:10 | 12 |
| ბელარუსი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:13 | 10 |
| შოტლანდია | 9 | 2 | 4 | 3 | 6:7 | 10 |
| მოლდოვა | 9 | 1 | 2 | 6 | 4:14 | 5 |

## როცა რუნი არაფერს აშავებს

VI ჯგუფი
**ინგლისი — პოლონეთი**
**ავსტრია — ჩრდ. ირლანდია**
**უელსი — აზერბაიჯანი**



**დღევანდელი** თამაში პოლონელებთან ინგლისისთვის ბევრს არას წყვეტს, ის უკვე გავიდა მსოფლიო ჩემპიონატზე, ისევე როგორც თავად პოლონეთი.

თუმცა, ამ თამაშს ერთი პატარა ინტრიგა მაინც აქვს: მსაჯი კიმ მილტონ ნილსენია, ხოლო მინდორზე იქნება უეინ რუნი. პირველმა მეორე გააძევა ჩემპიონთა ლიგის ამასწინანდელ მატჩში. „ვილიარეალი" — „მანჩესტერის" თამაშისას დანიელმა ყვითელი ბარათი უჩვენა ინგლისელს მან კი გაალმასებით ტაში შესცხო ცხვირწინ, რისთვისაც წითელი მიიღო. ოღონდაც, რუნი ამბობს, რომ კიმი ასეთ რამეებს არ იმახსოვრებს, კარგი მსაჯია და თავადაც საბაბს არ მისცემს: „თანაც მე დავფიქრდი და ბევრი რამ ვისწავლე".

შაბათს, ავსტრიის წინააღმდეგ, რუნის ისევ და ისევ სასჯელის გამო არ უთამაშია: ჩრდილოეთ ირლანდიასთან მიღებულმა ყვითელმა ბარათმა ჯამური ყვითლების გამო გამოატოვებინა თამაში.

„მე ხომ ახალგაზრდა ვარ — ამბობს რუნი — ამიტომ გამოცდილებას გზადაგზა ვიღებ. მინდა, რომ ყველაფერი სწორად და წესიერად იყოს. მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადები. ახლა უკეთესი გუნდი ვართ, ვიდრე ორი წლის წინათ".

კიმ მილტონ ნილსენი კი დღეს ვერ შეხვდება თავის მეორე ძველ ნაცნობს, დევიდ ბექემს, რომელიც 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, არგენტინასთან მატჩში გააძევა მინდვრიდან. უცნაური დამთხვევაა, მაგრამ ბექემმა შაბათს კარიერაში მეორე სანაკრებო წითელი მიიღო და ამიტომ ტოვებს მატჩს.

დანიელმა კი თქვა: „მე ასეთ რამეებზე არ ვფიქრობ. მინდორზე წარსული არ არის, მხოლოდ მიმდინარე მომენტია. თუ რუნი არაფერს აშავებს, რას ვერჩი?!

ინგლისის ნაკრები კი ისე გადის დღევანდელ თამაშზე, რომ არ იცის, მოახდენს თუ არა ამ მატჩის შედეგი გავლენას ფინალური ეტაპის განთესვაზე.

პოლონეთი ორი ქულით უსწრებს ინგლისს. თუმცა, ჯერჯერობით არ გამოცხადებულა, როგორ გავლენას იქონიებს ჯგუფში დაკავებული ადგილი განთესვაზე.

2002 წელს განთესვისთვის წინა მსოფლიო თასზე მიღწეული შედეგები და ფიფას რეიტინგი იყო გადამწყვეტი.

ყველაფერი 6 დეკემბერს, ლაიფციგში გაირკვევა, სადაც მსოფლიო თასის ორგკომიტეტი შეიკრიბება.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 9 | 8 | 0 | 1 | 26:7 | 24 |
| ინგლისი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:4 | 22 |
| ავსტრია | 9 | 3 | 3 | 3 | 13:12 | 12 |
| ჩრდ. ირლანდია | 9 | 2 | 3 | 4 | 10:16 | 9 |
| უელსი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:15 | 5 |
| აზერბაიჯანი | 9 | 0 | 3 | 6 | 1:19 | 3 |

## ბევრი გოლები და ბევრი პოლიტიკა

VII ჯგუფი
**ლიტვა — ბელგია**
**სან მარინო — ესპანეთი**
საჯარაუდო შემადგენლობა
**ესპანეთი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კარლეს პუიოლი, პაბლო იბანიესი, ანტონიო ლოპესი, ივან დე ლა პენია, ალბელდა, რეიესი, რაული, ტორესი, ვილა
**სერბეთი — ბოსნია**
საჯარაუდო შემადგენლობა
**სერბეთი:** იევრიჩი; გავრანჩიჩი, კრსტაიჩი, ვიდიჩი, ლუკოვიჩი, დულიაი, კორომანი, ჯორჯევიჩი, ვუკიჩი, კეჟმანი, ზიგიჩი.
**ბოსნია:** ჰასაგიჩი, სპაიჩი, ვაიჩი, მუსიჩი, სალიჰამიჯიჩი, ბაირამოვიჩი, გრლიჩი, ბარტოლოვიჩი, მისიმოვიჩი, სბარბარესი, ბოლიჩი

**ცხადი იყო**, სერბეთ-ბოსნიის მატჩი პოლიტიკური აყალმაყალის გარეშე არ ჩაივლიდა, თუმცა მეზობლებში ჯახის გარშემო ატეხილი „არასაფეხბურთო" ხმაური მაინც ნამეტანი გამოდგა. გუშინ ბელგრადში ბოსნიიდან ფანები ჩამოვიდნენ, სულ 750 კაცი. ოღონდ ესენი მხარს ბოსნიას კი არა, სერბეთს დაუჭერენ — ისინი ბანიალუკას ქრისტიანულ მხარეში მაცხოვრებელი სერბები არიან და მუსლიმი ბოსნიელები გულზე არ ეხატებათ.

ბლაჟ სლიშკოვიჩმა, სტუმართა ხორვატული წარმოშობის მწვრთნელმა, თავის დროზე იქაურთა ნაკრები ბოსნიაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთაგან დააკომპლექტა. ბარბარესი და ბარტოლოვიჩი ხორვატები არიან, ბაიჩი, გრუიჩი, მილენკოვიჩი და გრლიჩი — სერბები, ხოლო დანარჩენები კი — მუსლიმი ბოსნიელები.



ესპანელებს თამაში მიჩელ სალგადოს (№2) გარეშე მოუწევთ

მედიის ცნობით, აქამდე ასე თუ ისე მშვიდობიანად შეთანხმებულ ეროვნული გუნდის ფეხბურთელებს ერთმანეთში კამათი მოსვლიათ და სერბებთან მუნდიალზე გამსვლელ თამაშში მინდორზე „გაბუტულები" გამოვლენ...

ერთი სიტყვით, პოლიტიკა რთული რამაა, ჩვენ კი დაპირისპირების უშუალო, სპორტულ მხარეზე ვისაუბროთ. სერბეთს მეზობლებთან ჯახში წინა თამაშში ლიტვასთან დაშავებული ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი დააკლდებათ. მის მაგივრად ილია პეტკოვიჩი მოედანზე „ცრცვენა ზვეზდას" ახალგაზრდა მოთამაშეს, დუშან ბასტას გამოიყვანს. ნიკოლა ზიგიჩმა ტრავმა მოირჩინა და ბოსნიასთან აუცილებლად იბურთავებს. ასევე იქნებიან სანქციამოხდილი იგორ დულიაი და ოგნიენ კორომანიც.

სერბეთი დღეს მეშვიდე ჯგუფის ლიდერია და მოგების შემთხვევაში გერმანია 2006-ზე პირდაპირ, ყოველგვარი პლეი ოფის გარეშე გადის.

„დარწმუნებული ვარ, ბოსნიას დავამარცხებთ და მუნდიალზე უპრობლემოდ წავალთ" — თქვა მატია კეჟმანმა.

ბოსნიელი თავდამსხმელი ელვირ ბოლიჩი კი სულ სხვანაირად ფიქრობს: „ურთულესი მატჩი გველოდება, მაგრამ მაინც ჩვენ მოვიგებთ, გამარჯვების გარდა არაფერზე არ ვფიქრობთ".

ესპანეთის ნაკრები კი ახლა მხოლოდ სან მარინოს კარში ბევრი გოლის გატანაზე ფიქრობს. პირენეელები მეშვიდე ჯგუფში მეორე ადგილზეა და გერმანიაში საასპარეზოდ აუტსაიდერთან დიდი ანგარიშით გამარჯვება სჭირდება.

შესარჩევის ბოლო ჯახში დაჯარიმებულები მიჩელ სალგადო და ხავი არ ითამაშებენ, მათ ნაცვლად კასტილიელთა დამრიგებელი მოედანზე სერხიო რამოსს და ივან დე ლა პენიას შეიყვანს. მომხვდურთა თავდასხმაში რაულის, ფერნანდო ტორესის და ვალენსიელი დავიდ ვილას სამეული იბურთავებს.

სან მარინოსთან აქამდე პირინეელთა ეროვნულ გუნდს მხოლოდ ერთხელ უთამაშია — 1999 წლის 31 მარტს ესპანეთმა ხოსე ანტონიო კამაჩოს თაოსნობით ჯუჯა სახელმწიფოს ნაკრები 6:0 დაამარცხა.

მეშვიდე ჯგუფის არც ერთ გუნდთან აუტსაიდერს საშინაო შეხვედრაში სამზე მეტი გოლი არ გაუშვია. ესპანეთს კი თავისი მიზნის მისაღწევად ხუთბურთიანი **GOLEADA** უნდა.

„ამ თამაშს უცილობლად მოვიგებთ, თანაც სოლიდური ანგარიშით. მინიმუმ პლეი ოფში მაინც მოვხვდებით, თუმც ვინ იცის, სერბეთი ბოსნიას დაამარცხებს თუ არა, ჩვენ ჯგუფში პირველი ადგილისათვის ვიბრძოლებთ" — განაცხადა მატჩის წინ ლუის არაგონესმა.

ბოლოს, ორი სიტყვა ლიტვისა და ბელგიის მატჩზეც ვთქვათ. მათ მუნდიალზე მოხვედრის ყველანაირი შანსი უკვე დაკარგეს.

ლიტველები ბელგიასთან სანქცირებულ ჩესნაუსკისს მოისაკლისებენ. არ იქნება აგრეთვე დაჯარიმებული დეივიდას შემბერასიც. სკარბალიური დაშავებულია, ხოლო მუხლმტკივანი ბარასას ბურთაობა საეჭვოა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 9 | 5 | 4 | 0 | 15:1 | 19 |
| ესპანეთი | 9 | 4 | 5 | 0 | 13:3 | 17 |
| ბოსნია | 9 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 16 |
| ბელგია | 9 | 3 | 2 | 4 | 15:10 | 11 |
| ლიტვა | 9 | 2 | 3 | 4 | 7:8 | 9 |
| სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 2:34 | 0 |

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა



ხორვატებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა უკვე იზეიმეს

# შვედების გეგმები

**VIII ჯგუფი**

**უნგრეთი — ხორვატია**
**შვედეთი — ისლანდია**
**მალტა — ბულგარეთი**

**ხორვატებმა** გერმანიის ვიზა უკვე ჩაიჯიბეს. მათთვის ბუდაპეშტურ მატჩს ფაქტობრივად აზრი აღარ აქვს. ხორვატია რომ უნგრეთთან დამარცხდეს, შვედებმა კი ისლანდიას სძლიონ, ლიდერები ადგილებს გაცვლიან — შვედეთი პირველ საფეხურზე გადაინაცვლებს და როგორც ჯგუფის გამარჯვებული, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს გაინაღდებს.

თუმც სკანდინავიელებს ისედაც თითქმის განაღდებული აქვთ საუკეთესო მეორე ადგილოსანის რანგში მუნდიალზე მოხვედრა. შვედებმა ფრეც, რომ ითამაშონ პლეი ოფში მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდებიან თუ ჩეხეთი სტოკჰოლმში 4 ბურთის სხვაობით მოიგებს, რაც ცოტა ძნელი სავარაუდოა. თუმც ლარს ლაგერბეკის გუნდი მაინც ფრთხილობს და მოგებას აპირებს.

„მშვიდად მაინც არ ვართ და ერთადერთი რაზეც ვფიქრობთ მოგებაა" — განაცხადა შვედთა ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა.

„ხორვატიისადმი სიმპათიები არ მაქვს, ყოველ შემთხვევაში ახლა. ძალიან გამიხარდება თუ ჯგუფში პირველ ადგილზე ჩვენ გავალთ" — აღნიშნა ხორვატიაში დაბადებულმა შვედმა მცველმა ტედი ლუჩიჩმა.

**ბაჩა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 9 | 7 | 2 | 0 | 21:5 | 23 |
| შვედეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 27:3 | 21 |
| ბულგარეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:16 | 14 |
| უნგრეთი | 9 | 4 | 1 | 4 | 13:14 | 13 |
| ისლანდია | 9 | 1 | 1 | 7 | 13:24 | 4 |
| მალტა | 9 | 0 | 2 | 7 | 3:31 | 2 |

# გრიგა ლიგაში



**პრაღის** „სპარტას" მწვრთნელად სლოვაკი სტანისლავ გრიგა დანიშნეს, რომელმაც კლუბის პატრონისგან დაწუნებული იაროსლავ ჰრებიკი შეცვალა.

„სპარტას" ვიცე-პრეზიდენტ დანიელ კრეტინსკის თქმით, 44 წლის სლოვაკმა კონტრაქტი 2007-ის ივნისამდე გააფორმა.

სტანისლავ გრიგა პრაღულ გუნდს კარგად იცნობს. „სპარტაში" 1981 წელს მივიდა და იქ რვა სეზონი გაატარა. გრიგა ფორვარდი იყო და ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში 120 გოლი მიითვალა. ის „ფეიენოორდში" და ვენის „რაპიდშიც" თამაშობდა ეროვნულ ნაკრების მაისურა კი 34-ჯერ მოირგო და 8 გოლი გაიტანა. მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე მეოთხედფინალშიც ითამაშა.

სამწვრთნელო კარიერა „ჟილინაში" დაიწყო, ამას მოჰყვა „ტრენჩინი", „ლიბერეცი", „დუბნიცა" და სლოვაკეთის ახალგაზრდული ნაკრები. გასულ სეზონში „ლიბერეცი" მეხუთე ადგილზე გაიყვანა, მაგრამ გარიგებული მატჩები ამოუქექეს და ექვსი ქულა დააკლეს.

**ბაჩა ხუციშვილი**

# ვომეს სახლი დაუწვეს

**კამერუნში** იქაურ ფანატთა ბრბომ პიერ ვომეს სახლი და მანქანა ცეცხლს მისცა. ვომემ აფრიკის შესარჩევის ბოლო თამაშში ეგვიპტესთან (1:1) ბოლო წუთებზე პენალტი ვერ შეაგდო და კამერუნის ეროვნული გუნდიც 2006 წლის მუნდიალის მიღმა დარჩა.



სრულს პოლიციამ სადღაც გააქრო. სავარაუდოდ ვომე თავშესაფარს ოჯახითურთ საფრანგეთში იპოვნის.

**ლადო ხომერიკი**

განრისხებულმა გულშემატკივრებმა ფეხბურთელს სამაგიერო ვილასა და „მერსედესის" დაწვით გადაუხადეს. მედიის ცნობით, ხალხმა პიერ ვომეს მეუღლეს კუთვნილი სალონიც მიწასთან გაასწორა. თავად უიღბლო მობურთალი ეგვიპტელებთან ავადსახსენებელი შეხვედრის დასა-

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# ავსტრალიასთან ჯახის მოლოდინში

**XVIII ტური**

**ურუგვაი — არგენტინა**
**ბრაზილია — ვენესუელა**
**პარაგვაი — კოლუმბია**
**პერუ — ბოლივია**
**ჩილე — ეკვადორი**

**1930 წლის 30 ივლისს** მონტევიდეოს „ესტადიო სენტენარიოს" არენაზე პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მასპინძელმა ურუგვაიმ არგენტინის ნაკრები დაამარცხა და მუნდიალის ოქროს მედლები მოიპოვა. დღეს, იმ მატჩიდან 75 წლის შემდეგ, ძველ „სენტენრიოს" პატაგონიელთა ეროვნული გუნდი კვლავაც ესტუმრება, გერმანია 2006-ის შესარჩევის ბოლო შეხვედრის ჩასატარებლად. ურუგვაის ნაკრები ამჟამად სატურნირო ცხრილში მეხუთეა და ავსტრალიასთან საპლეიოფო ჯახის გასამართდ აუცილებლად არგენტინელთა დამარცხება სჭირდება.



ურუგვაელები დიეგო ფორლანის გოლებს ელიან

„მეტოქეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევერკინებით. ჩვენი ერთგული ინჩასების მხარდაჭერით ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხვდეთ" — აღნიშნა ხორხე ფოსატიმ, მასპინძელთა დამრიგებელმა.

ფოსატი მეზობელ არგენტინასთან საომრად იმ მოიერიშეებს გამოიყვანს, რომლებმაც ეკვადორთან ამასწინდელი მატჩისას დაისვენეს. პატაგონიელთა დაცვას ორი ტურის წინ კოლუმბიასთან შეხვედრის გმირის, მარსელო ზალაიეტასა და დიეგო ფორლანის „განაღმვა" მოუხდება. ნაკრების კაპიტანმა პაულო მონტერომაც ტრავმა მოირჩინა და ხოსე ჰეკერმანის შეგირდთა წინააღმდეგ აუცილებლად იბურთავებს.

2001 წელს არგენტინასთან შესარჩევის ბოლო მატჩში მიღწეულმა ფრემ ურუგვაის კორეა-იაპონიის მუნდიალის საგზური მოუტანა, ახლა კი „სელესტეს" მარტო გამარჯვება ჰყოფნის. წაგების ან ფრის შემთხვევაში ადგილობრივები კოლუმბიასა და ჩილეს თამაშების შედეგზე იქნებიან დამოკიდებულნი.

16 წელი და სამი თვეა, არგენტინის ნაკრები ურუგვაისთან არ დამარცხებულა. უკანასკნელად პატაგონელებმა „სელესტესთან" 1989 წლის კოპა ამერიკაზე წააგეს. მას შემდეგ ძველი მეტოქეები ათჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან 5 ჯახი არგენტინელთა ფიესტით დასრულდა, დანარჩენები კი ფრედ. მიუხედავად ამ უპირატესობისა, გაუჩოებს „ესტადიო სენტენარიოდან" 3 ქულა არასოდეს წამოუღიათ...

ბოლოჯერ არგენტინამ ურუგვაი მიმდინარე შესარჩევის დროს, 2004 წლის 9 ოქტომბერს, ბუენოს აირესში 4:2 დაამარცხა. სტუმართა ძირითადი მეომრები — ხუან პაბლო სორინი, რობერტო აიალა, ხუან რომან რიველმე, ერნან კრესპო — მწყობრში არიან და მონტევიდეოში უსათუოდ იბურთავებენ.

„ის, რომ გერმანია 2006-ოზე მონაწილეობა უკვე გარანტირებული გვაქვს, ურუგვაისთან ზერელედ თამაშის უფლებას არ გვაძლევს. ჩვენი მიზანია. შესარჩევი ეტაპი ჯგუფში პირველ ადგილზე დავამთავროთ" — თქვა სტუმართა თავკაცმა ხოსე პეკერმანმა.

არგენტინელებმა მუნდიალზე გასვლა ჯერ კიდევ ივნისს დაიბევეს, თუმც „მარადიული მტერი", ბრაზილიის ნაკრები უდგათ კვალში და პატაგონიელებს საძულველი მეტოქის გასწრება არ ეპიტნავებათ... ერთი საინტერესო დეტალიც — „სენტენარიოს" ჯახი ვინძლო უფრო მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაში ჩაიაროს. აიალა, მონტერი, ზალაიეტა და კრესპო თავით თამაშის ოსტატები არიან.

კოლუმბიის ნაკრებს სასწაული სჭირდება გერმანიის მუნდიალზე მოსახვედრადო — ნაღვლიანად აღნიშნავდა ამ ქვეყნის პრესა შაბათს ჩილესთან არასასურველი 1:1-ის შემდეგ. კოლუმბია სამხრეთამერიკელთა ცხრილში მეექვსეა და ალემანურ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად (ანუ ჯერ პლეი ოფში ავსტრალიასთან სათამაშოდ) დღეს ჩილესა და ურიგვაის ეკვადორთან და არგენტინასთან ვერმოგება ესაჭიროება. თან ყავისა და კოკაინისქვეყნელებმა ოთხშაბათს გადამწყვეტ მატჩში პარაგვაის ძლიერი გუნდი გასვლაზე უნდა დაამარცხონ...

კოლუმბიის მეტოქემ გერმანიის საგზური შაბათს ვენესუელასთან მარაკაიბოში მიღწეული 1:0-ის მერე დაიმსახურა. იქაურებმა მწვრთნელ ანიბალ რუისს კონტრაქტი მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლომდე გაუხანგრძლივეს. ადგილობრივთა თავკაცი 12 ოქტომბერს ნელსონ ვალდესსა და როკე სანტა კრუზს დაასვენებს. არ ითამაშებენ აგრეთვე ნაკრების კაპიტანი კარლოს გამარა და ნახევარმცველი დიეგო გავილანი — ამ ორს ყვითელი ბარათები დაუგროვდათ. კარებში გულშემატკივრები დერლიშ გომესის ნაცვლად ვილარს ნახავენ.

სამხრეთამერიკული ჯგუფის მეორეადგილოსანი ბრაზილიის ნაკრები ვენესუელას შინ, „მარაკანის" არენაზე მიიღებს. პენტაკამპეონები საბრძოლველად არიან განწყობილნი და მათი სტუმარიც ალბათ ოთხშაბათს ჯახის მერე უკან თავჩაქინდრული დაბრუნდება. უკვე არგენტინის სალიდერო ზრახვები ვახსენეთ და ახლა მათი „მტრობისაც" ვთქვათ — ჩვენთან მუნდიალზე არგენტინის ზურგსუკან გასვლა არავის მოსწონს, ამიტომაც ვენესუელას დამარცხებას ვეცდებით. კარგია, თუ გერმანიაში ლიდერებად გავემგზავრებით — აღნიშნა მასპინძელთა ფორვარდმა რობინიომ პრესასთან შეხვედრაში.

ნელსონ აკოსტას ჩილე თავის სამუნდიალო შანსებს უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრილ ეკვადორთან დაიცავს. ჩილემ შაბათს კოლუმბიასთან ხსენებული 1:1-ის შემდეგ ალემანიაში წასვლის მინიმალური შესაძლებლობა შეინარჩუნა. რაც შეეხება დღევანდელ პერუ-ბოლივიას, ინდიელთა ქვეყნების ტრადიციულ სპორტულ შეჯიბრს თუ არ ჩავთვლით, აქ არაფერია საინტერესო — ორივე ნაკრები, მსოფლიოს ფეხბურთის ზეიმზე მოხვედრის შესაძლებლობას კარგა ხანია, დაემშვიდობა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 17 | 10 | 4 | 3 | 29:16 | 34 |
| ბრაზილია | 17 | 8 | 7 | 2 | 32:17 | 31 |
| პარაგვაი | 17 | 8 | 4 | 5 | 23:22 | 28 |
| ეკვადორი | 17 | 8 | 3 | 6 | 23:19 | 27 |
| ურუგვაი | 17 | 5 | 7 | 5 | 22:28 | 22 |
| კოლუმბია | 17 | 5 | 5 | 6 | 23:16 | 21 |
| ჩილე | 17 | 5 | 6 | 6 | 18:22 | 21 |
| ვენესუელა | 17 | 5 | 3 | 9 | 20:25 | 18 |
| პერუ | 17 | 3 | 6 | 8 | 16:27 | 15 |
| ბოლივია | 17 | 4 | 2 | 11 | 19:33 | 14 |



ეკვადორის თავკაცი დარიო გომესი (მარჯვნივ) მუნდიალზე გასვლას ხარობს

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:45 | 1 | უიგანი-ნიუკასლი | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 2 | ჩელსი-ბოლტონი | 1.25 | 4.70 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.37 |
| 18:00 | 3 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 5.30 | 3.60 | 1.60 | 2.14 | 1.22 | 1.10 |
| 18:00 | 4 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 18:00 | 5 | ტოტენჰემი-ევერტონი | 1.65 | 3.40 | 5.30 | 1.11 | 1.25 | 2.07 |
| 18:00 | 6 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| 20:15 | 7 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:00 | 8 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 19:00 | 9 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 10 | ჩარლტონი-ფულემი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 59 | სელტიკი-ჰართსი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 18:00 | 60 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 61 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 18:00 | 62 | ინვერნესი-აბერდინი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 18:00 | 63 | მოზერუელი-ლივინგსტონი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 64 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 7.00 | 4.00 | 1.35 | 2.54 | 1.13 | 1.00 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 65 | დანდი-სტრანრარი | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 18:00 | 66 | სტ.მირენი-როსი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 67 | კლაიდი-ჰამილტონი | 2.60 | 3.30 | 2.25 | 1.45 | 1.20 | 1.33 |
| 18:00 | 68 | სტ.ჯონსტონი-ბრეჩინი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 18:00 | 69 | ქუინი-ერდრი | 2.55 | 3.30 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 80 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| 17:30 | 81 | ლაუტერნი-დორტმუნდი | 2.55 | 3.30 | 2.50 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 17:30 | 82 | არმინია-ჰერტა | 2.95 | 3.30 | 2.20 | 1.55 | 1.26 | 1.32 |
| 17:30 | 83 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 17:30 | 84 | შალკე-ბაიერნი | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 17:30 | 85 | შტუტგარტი-გლადბახი | 1.75 | 3.50 | 4.20 | 1.16 | 1.23 | 1.90 |
| 17:30 | 86 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.35 | 4.50 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.88 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 87 | დუისბურგი-აინტრახტი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 19:30 | 88 | კიოლნი-ჰანოვერი | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 116 | ადმირა-ტიროლი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 20:30 | 117 | მატერსბურგი-გრაცერი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 20:30 | 118 | რაპიდი-ზალცბურგი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 20:30 | 120 | შტურმი-პაშინგი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 119 | რიდი-აუსტრია | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 140 | სიენა-უდინეზე | 2.55 | 3.00 | 2.75 | 1.37 | 1.32 | 1.43 |
| 22:30 | 141 | იუვენტუსი-მესინა | 1.20 | 5.30 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.76 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 142 | ლაციო-ფიორენტინა | 2.45 | 3.00 | 2.80 | 1.34 | 1.30 | 1.44 |
| 17:00 | 143 | პალერმო-კიევო | 1.70 | 3.10 | 5.50 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| 17:00 | 144 | პარმა-ტრევიზო | 1.65 | 3.20 | 5.80 | 1.08 | 1.28 | 2.06 |
| 17:00 | 145 | რეჯინა-ლეჩე | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 146 |ასკოლი-სამპდორია | 3.30 | 3.00 | 2.20 | 1.57 | 1.32 | 1.26 |
| 17:00 | 147 | ემპოლი-რომა | 3.60 | 3.10 | 2.05 | 1.66 | 1.30 | 1.23 |
| 17:00 | 148 | ინტერი-ლივორნო | 1.35 | 4.00 | 10.00 | 1.00 | 1.18 | 2.85 |
| 22:30 | 149 | კალიარი-მილანი | 6.00 | 3.30 | 1.60 | 2.12 | 1.26 | 1.07 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 182 | ალავესი-ვილიარეალი | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| 23:45 | 184 | ატლეტიკო-რეალი | 3.40 | 3.10 | 2.10 | 1.62 | 1.29 | 1.25 |
| 22:00 | 187 | დეპორტივო-ბარსელონა | 3.50 | 3.10 | 2.05 | 1.64 | 1.29 | 1.23 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 183 | ბილბაო-სევილია | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 19:00 | 185 | ბეტისი-ხეტაფე | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| 21:00 | 186 | ესპანიოლი-კადისი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 188 | მალიორკა-რასინგი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 19:00 | 189 | ოსასუნა-სელტა | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 21:00 | 190 | ვალენსია-მალაგა | 1.45 | 3.80 | 7.30 | 1.04 | 1.20 | 2.49 |
| 19:00 | 191 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:15 | 203 | ნანტი-სტ.ეტიენი | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 22:00 | 204 | სტრასბური-რენი | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 22:00 | 205 | ოსერი-ტრუა | 1.65 | 3.20 | 5.20 | 1.08 | 1.25 | 1.98 |
| 22:00 | 206 | ბორდო-სოშო | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 22:00 | 207 | ლე მანი-ლილი | 2.45 | 2.80 | 2.90 | 1.30 | 1.32 | 1.42 |
| 22:00 | 208 | ლანსი-ნიცა | 1.75 | 3.00 | 5.00 | 1.10 | 1.29 | 1.87 |
| 22:00 | 209 | მონაკო-მეცი | 1.45 | 3.50 | 7.50 | 1.02 | 1.21 | 2.38 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 210 | ნანსი-ტულუზი | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 211 | მარსელი-პსჟ | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 20:00 | 212 | ლიონი-აიაჩო | 1.35 | 4.50 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.73 |

**ბელგია. I დივიზიონი**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 224 | მუსკრონი-ბეერსხოტი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 22:00 | 225 | ლიერსი-ვარეგემი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 22:00 | 226 | ლოკერენი-შარლერუა | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 227 | ბევერენი-ანდერლეხტი | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| 22:00 | 228 | ბრიუგე-ვესტერლო | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 22:00 | 229 | ბრიუსელი-სერკლი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 22:00 | 230 | რუზელარე-ლუვიე | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 231 | სტ.ტრუიდენი-გენტი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 22:00 | 232 | გენკი-სტანდარდი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

**14 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 268 | რიუ ავე-ბრაგა | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 263 | გიმარაეში-ნასიონალი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:45 | 267 | პორტუ-ბენფიკა | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 261 | ამადორა-მარიტიმუ | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 20:00 | 264 | ლეირია-ფერეირა | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:45 | 265 | ნავალი-ბელენენსეში | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 266 | პენაფიელი-სეტუბალი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 22:15 | 269 | სპორტინგი-აკადემიკა | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |

**17 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 262 | ბოავიშტა-ჟილ ვისენტე | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |

**დანია. სუპერლიგა**

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 352 | ესბიერგი-ოლბორგი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 17:00 | 353 | ჰორსენსი-ნორდსიელანდი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 17:00 | 354 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 17:00 | 355 | ოდენსე-ორჰუსი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 17:00 | 356 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 5.00 | 3.50 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| 17:00 | 357 | სიონდერიისკე-ბრიონდბიუ | 5.80 | 3.70 | 1.55 | 2.25 | 1.22 | 1.09 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 366 | სტარტი-ალესუნდი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 367 | ვიკინგი-ვოლერენგა | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 20:00 | 368 | ლინი-ტრომსიო | 1.90 | 3.40 | 3.70 | 1.21 | 1.25 | 1.77 |
| 20:00 | 369 | ოდ გრენლანდი-ჰამარი | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 20:00 | 370 | ფრედრიკსტადი-მოლდე | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 22:05 | 371 | რუსენბორგი-ბრანი | 1.65 | 3.60 | 4.80 | 1.13 | 1.22 | 2.05 |

**17 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 372 | ლილესტრომი-ბოდო გლიმტი | 1.70 | 3.60 | 4.50 | 1.15 | 1.23 | 2.00 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 381 | გეფლე-მალმიო | 4.10 | 3.40 | 1.80 | 1.85 | 1.25 | 1.17 |
| 19:00 | 382 | ჰეკენი-კალმარი | 2.75 | 3.30 | 2.35 | 1.50 | 1.26 | 1.37 |
| 19:00 | 383 | ჰალმსტადი-ასირისკა | 1.25 | 5.20 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.36 |

**17 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 384 | ჰამარბი-გიოტებორგი | 2.40 | 3.40 | 2.60 | 1.40 | 1.24 | 1.47 |
| 21:00 | 385 | ლანდსკრონა-სუნდსვალი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 21:00 | 386 | იორგრიტე-იურგორდენი | 4.00 | 3.50 | 1.80 | 1.86 | 1.24 | 1.18 |
| 21:00 | 387 | ელფსბორგი-ჰელსინგბორგი | 2.35 | 3.40 | 2.70 | 1.38 | 1.25 | 1.50 |

**აშშ**

**12 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 421 | სოლტ ლეიკი-კოლორადო | 2.90 | 3.00 | 2.25 | 1.47 | 1.26 | 1.28 |

**მჩ. შესარჩევი მატჩები**

**12 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 481 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 482 | ანდორა-სომხეთი | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 21:30 | 483 | ფინეთი-ჩეხეთი | 7.00 | 3.80 | 1.40 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| 20:00 | 485 | ალბანეთი-თურქეთი | 10.00 | 5.50 | 1.20 | 3.54 | 1.07 | 1.00 |
| 20:00 | 486 | ყაზახეთი-დანია | 15.00 | 7.00 | 1.10 | 4.77 | 1.02 | 1.00 |
| 21:00 | 487 | მალტა-ბულგარეთი | 10.00 | 5.00 | 1.20 | 3.33 | 1.07 | 1.00 |
| 21:30 | 488 | შვედეთი-ისლანდია | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| 21:30 | 489 | უნგრეთი-ხორვატია | 3.30 | 3.10 | 2.10 | 1.59 | 1.28 | 1.25 |
| 21:30 | 490 | ჰოლანდია-მაკედონია | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |
| 22:15 | 491 | ლუქსემბურგი-ესტონეთი | 12.00 | 5.00 | 1.20 | 3.52 | 1.09 | 1.00 |
| 22:30 | 492 | პორტუგალია-ლატვია | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 22:30 | 493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:30 | 494 | იტალია-მოლდოვა | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| 22:30 | 495 | სლოვენია-შოტლანდია | 1.80 | 3.50 | 3.80 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 22:30 | 496 | ბელარუსი-ნორვეგია | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 22:30 | 497 | სერბეთი-ბოსნია | 1.45 | 3.60 | 7.00 | 1.03 | 1.20 | 2.37 |
| 22:30 | 498 | ლიტვა-ბელგია | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 22:30 | 499 | სან მარინო-ესპანეთი | 30.00 | 9.00 | 1.01 | 6.92 | 1.00 | 1.00 |
| 22:30 | 500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.40 | 3.90 | 7.30 | 1.03 | 1.17 | 2.54 |
| 22:45 | 501 | უელსი-აზერბაიჯანი | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 22:45 | 502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.50 | 3.70 | 5.80 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 22:45 | 503 | საფრანგეთი-კვიპროსი | 1.02 | 9.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 6.92 |
| 22:45 | 504 | ირლანდია-შვეიცარია | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 782 | ბრაზილია-ვენესუელა | 1.12 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.33 |
| 23:45 | 783 | პარაგვაი-კოლუმბია | 2.55 | 3.40 | 2.25 | 1.45 | 1.19 | 1.35 |
| 23:45 | 784 | პერუ-ბოლივია | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 23:45 | 785 | ურუგვაი-არგენტინა | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 23:45 | 786 | ჩილე-ეკვადორი | 1.45 | 3.60 | 6.20 | 1.03 | 1.17 | 2.27 |
| 23:45 | 787 | აშშ-პანამა | 1.20 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.42 |
| 23:45 | 788 | გვატემალა-კოსტა რიკა | 1.65 | 3.60 | 4.00 | 1.13 | 1.16 | 1.89 |
| 23:45 | 789 | ტრინიდადი-მექსიკა | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |

**ამხანაგური მატჩები**

**12 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 505 | გერმანია-ჩინეთი | 1.15 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.67 |

**ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)**

**12 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 527 | სლოვაკეთი(21)-რუსეთი(21) | 3.00 | 3.30 | 2.00 | 1.57 | 1.20 | 1.24 |

**ჰოკეი. NHL**

**12 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 615 | ატლანტა-მონრეალი | 2.05 | 4.00 | 2.30 | 1.35 | 1.08 | 1.46 |
| 23:45 | 616 | კაროლინა-ვაშინგტონი | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 23:45 | 617 | მინესოტა-ვანკუვერი | 2.30 | 4.00 | 2.05 | 1.46 | 1.08 | 1.35 |
| 23:45 | 618 | კოლორადო-ნეშვილი | 1.80 | 4.00 | 2.50 | 1.24 | 1.04 | 1.53 |
| 23:45 | 619 | სან ხოსე-კოლამბუსი | 1.80 | 4.00 | 2.50 | 1.24 | 1.04 | 1.53 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**13 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 671 | ტაპარა-იუვესკიულე | 1.55 | 4.20 | 3.50 | 1.13 | 1.07 | 1.90 |
| 19:30 | 672 | ესპოო-ჰელსინკი | 1.65 | 4.10 | 2.80 | 1.17 | 1.03 | 1.66 |
| 19:30 | 673 | სეიპა-ჰაამეენლინა | 2.30 | 4.00 | 2.00 | 1.46 | 1.06 | 1.33 |
| 19:30 | 674 | ტურკუ-ილვესი | 1.65 | 4.00 | 3.00 | 1.16 | 1.06 | 1.71 |
| 19:30 | 675 | ესეტი-კალპა | 1.45 | 4.10 | 3.40 | 1.07 | 1.01 | 1.85 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 676 | კერპეტი-პელიკანსი | 1.25 | 4.50 | 6.00 | 1.00 | 1.03 | 2.57 |

**ჰოკეი. რუსეთი**

**12 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 749 | სპარტაკი-ასკ | 2.45 | 4.20 | 1.95 | 1.54 | 1.08 | 1.33 |
| 18:30 | 750 | ლოკომოტივი-სევერსტალი | 1.45 | 4.50 | 4.00 | 1.09 | 1.06 | 2.11 |
| 14:30 | 751 | ნოვოკუზნეცკი-მაგნიტოგორსკი | 2.90 | 4.30 | 1.70 | 1.73 | 1.07 | 1.21 |
| 17:30 | 752 | ლადა-მვდ | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |
| 16:30 | 753 | მოლოტი-ხიმიკი | 3.20 | 4.30 | 1.65 | 1.83 | 1.08 | 1.19 |
| 15:30 | 754 | სიბირი-დინამო | 3.50 | 4.40 | 1.55 | 1.94 | 1.07 | 1.14 |
| 19:00 | 755 | ცსკა-ავანგარდი | 2.55 | 4.00 | 1.95 | 1.55 | 1.10 | 1.31 |
| 16:30 | 756 | ს.იულაევი-ვიტიაზი | 1.45 | 4.20 | 4.00 | 1.07 | 1.06 | 2.04 |

**13 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 757 | აკ ბარსი-ნეფტეხიმიკი | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |

## გოლი: წყვილი-1 კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16482 | ანდორა-სომხეთი | 1.85 | 1.95 |
| 16483 | ფინეთი-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 16485 | ალბანეთი-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 16486 | ყაზახეთი-დანია | 1.85 | 1.95 |
| 16487 | მალტა-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 16488 | შვედეთი-ისლანდია | 1.85 | 1.95 |
| 16489 | უნგრეთი-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 16490 | პოლანდია-მაკედონია | 1.85 | 1.95 |
| 16491 | ლუქსემბურგი-ესტონეთი | 1.85 | 1.95 |
| 16492 | პორტუგალია-ლატვია | 1.85 | 1.95 |
| 16493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 16494 | იტალია-მოლდოვა | 1.85 | 1.95 |
| 16495 | სლოვენია-შოტლანდია | 1.85 | 1.95 |
| 16496 | ბელარუსი-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 16497 | სერბეთი-ბოსნია | 1.85 | 1.95 |
| 16498 | ლიტვა-ბელგია | 1.85 | 1.95 |
| 16499 | სან მარინო-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 16500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 16501 | უელსი-აზერბაიჯანი | 1.85 | 1.95 |
| 16502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 16503 | საფრანგეთი-კვიპროსი | 1.85 | 1.95 |
| 16504 | ირლანდია-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10482 | ანდორა-სომხეთი | 3.90 | 2.10 | 2.15 | 1.36 | 1.38 | 1.06 |
| 10483 | ფინეთი-ჩეხეთი | 5.50 | 2.00 | 1.80 | 1.46 | 1.35 | 1.00 |
| 10485 | ალბანეთი-თურქეთი | 7.00 | 2.10 | 1.55 | 1.61 | 1.26 | 1.00 |
| 10489 | უნგრეთი-ხორვატია | 3.90 | 2.00 | 2.45 | 1.32 | 1.50 | 1.10 |
| 10493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 3.10 | 2.00 | 2.80 | 1.21 | 1.47 | 1.16 |
| 10495 | სლოვენია-შოტლანდია | 2.20 | 2.00 | 4.20 | 1.04 | 1.44 | 1.35 |
| 10496 | ბელარუსი-ნორვეგია | 3.00 | 2.00 | 2.80 | 1.20 | 1.44 | 1.16 |
| 10497 | სერბეთი-ბოსნია | 1.85 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.60 |
| 10498 | ლიტვა-ბელგია | 3.10 | 2.00 | 2.75 | 1.21 | 1.45 | 1.15 |
| 10500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.85 | 2.10 | 6.40 | 1.00 | 1.43 | 1.58 |
| 10501 | უელსი-აზერბაიჯანი | 1.50 | 2.40 | 8.00 | 1.00 | 1.26 | 1.84 |
| 10502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.80 | 2.30 | 4.50 | 1.00 | 1.28 | 1.52 |
| 10504 | ირლანდია-შვეიცარია | 2.20 | 2.00 | 4.20 | 1.04 | 1.44 | 1.35 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15482 | ანდორა-სომხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15483 | ფინეთი-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15485 | ალბანეთი-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15486 | ყაზახეთი-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15487 | მალტა-ბულგარეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15488 | შვედეთი-ისლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15489 | უნგრეთი-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15490 | პოლანდია-მაკედონია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15491 | ლუქსემბურგი-ესტონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15492 | პორტუგალია-ლატვია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15494 | იტალია-მოლდოვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15495 | სლოვენია-შოტლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15496 | ბელარუსი-ნორვეგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15497 | სერბეთი-ბოსნია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15498 | ლიტვა-ბელგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15501 | უელსი-აზერბაიჯანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15502 | ინგლისი-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15504 | ირლანდია-შვეიცარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12482 | ანდორა-სომხეთი | 1.70 | 1.90 |
| 12483 | ფინეთი-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 12485 | ალბანეთი-თურქეთი | 2.00 | 1.60 |
| 12486 | ყაზახეთი-დანია | 2.10 | 1.50 |
| 12487 | მალტა-ბულგარეთი | 1.90 | 1.70 |
| 12490 | პოლანდია-მაკედონია | 2.10 | 1.40 |
| 12491 | ლუქსემბურგი-ესტონეთი | 2.20 | 1.50 |
| 12492 | პორტუგალია-ლატვია | 2.10 | 1.55 |
| 12493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 12494 | იტალია-მოლდოვა | 2.00 | 1.60 |
| 12495 | სლოვენია-შოტლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12496 | ბელარუსი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 12497 | სერბეთი-ბოსნია | 1.70 | 1.90 |
| 12498 | ლიტვა-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 12500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12501 | უელსი-აზერბაიჯანი | 1.90 | 1.70 |
| 12502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |
| 12504 | ირლანდია-შვეიცარია | 1.70 | 1.90 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11482 | ანდორა-სომხეთი | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11483 | ფინეთი-ჩეხეთი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.50 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.95 |
| 11485 | ალბანეთი-თურქეთი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.60 |
| 11489 | უნგრეთი-ხორვატია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.50 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.50 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11495 | სლოვენია-შოტლანდია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 5.80 |
| 11496 | ბელარუსი-ნორვეგია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11497 | სერბეთი-ბოსნია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 7.50 |
| 11498 | ლიტვა-ბელგია | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11504 | ირლანდია-შვეიცარია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13482 | ანდორა-სომხეთი | 1.90 | 1.70 |
| 13483 | ფინეთი-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 13485 | ალბანეთი-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13489 | უნგრეთი-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 13493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 13495 | სლოვენია-შოტლანდია | 1.70 | 1.90 |
| 13496 | ბელარუსი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 13497 | სერბეთი-ბოსნია | 1.70 | 1.90 |
| 13498 | ლიტვა-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 13500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.70 | 1.90 |
| 13502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.90 | 1.70 |
| 13504 | ირლანდია-შვეიცარია | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14482 | ანდორა-სომხეთი | 2.10 | 1.40 |
| 14483 | ფინეთი-ჩეხეთი | 2.60 | 1.25 |
| 14485 | ალბანეთი-თურქეთი | 2.60 | 1.25 |
| 14489 | უნგრეთი-ხორვატია | 2.20 | 1.60 |
| 14493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 2.00 | 1.70 |
| 14495 | სლოვენია-შოტლანდია | 1.55 | 2.30 |
| 14496 | ბელარუსი-ნორვეგია | 2.00 | 1.80 |
| 14497 | სერბეთი-ბოსნია | 1.20 | 2.60 |
| 14498 | ლიტვა-ბელგია | 2.00 | 1.80 |
| 14500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.25 | 2.50 |
| 14502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.30 | 2.50 |
| 14504 | ირლანდია-შვეიცარია | 1.60 | 2.30 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## დუდუ დადიანის IV მემორიალი

# არ დაბერდა, კვლავაც ტყორცნის

## თორთლაძემ სტუ-ს ტექნიკა უჩვენა



დავით თორთლაძემ სტუ-ს 39 ქულა ჩაუგდო



ლუკა შანიძე სოხუმელთა ფარს უტევს

ირაკლი პერტაია

**11 ოქტომბერი**

**სტუ 118:113 სსუ**

**28:26 30:32 28:27 32:28**

სტუ: გაგნიძე (15), ლოსაბერიძე (8), კედია (28), მურჯიკნელი (5), ახალკაცი, კორძაიძე (4), მათიაშვილი (17), შანიძე (20), მიქაძე (15), ნინუა (6)
სსუ: თორთლაძე (39), პატარაია (16), კორძაძე (14), გოლეთიანი (16), მოდებაძე (17), ლ. ნოზაძე (5), ბენდიანიშვილი (4), ონიკაშვილი (2), ჯიქია
*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე*
*კომისარი: მურმან ქურიძე*

**ავიამშენი 79:71 აზოტი**

**22:17 24:22 20:13 13:19**

ავიამშენი: ნიკოლაძე (5), დ. ბერიშვილი (5), ბ. ბერიშვილი (9), ორმოცაძე (12), მარკოიშვილი (23), ხოშტარია (11), როდუმტა (8), ჩხატარაშვილი (2). მინაშვილი (4), ბ. ნოზაძე
აზოტი: ჩაჩუა (4), ლიპარტელიანი (6), ჟღენტი (11), გოგობერიშვილი (14), ცეკვავა (3), ჭოჭუა (14), არწივიძე (6), დანელიანი (5), გაზდელიანი (2), გოგსაძე (2), ფაიქრიძე (2), კურტანიძე (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ გელოვანი

**დინამო 82:61 მაკაბი**

**28:10 24:15 16:21 14:15**

დინამო: დერიუგინი (4), სუხიშვილი (12), ლაფანაშვილი (13), ბადრიძე (13), გულისაბედაშვილი (16), დევიძე (8), წივწივაძე (2), ძიძიგური (2), ვ. მაისურაძე (9), წერეთელი (3)
მაკაბი: დოლიძე (10), გ. შერმადინი (24), ენუქიძე (4), ვაშაკიძე (15), კორკოტაძე (8), ს. შერმადინი, ფიცხელაური, ნინოშვილი
*მსაჯები: ხათუნა გაბედავა, მაკა კუპატაძე*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**გუშინდელი** მატჩები ლოგიკურად კი დასრულდა, მაგრამ ყველაფერი ისე არ განვითარდა, როგორც მაყურებელი ელოდა. რომელ მატჩშიც უინტერესო ბრძოლა იყო მოსალოდნელი, სწორედ იმან გაამართლა, ხოლო მეტ-ნაკლები ინტრიგის მქონე შეხვედრები ულიმღამო, მოსაწყენ ბურთაობაში ჩათამაშდა.

დილის 12 საათზე დანიშნული სტუ — სსუ-ს საყურებლად ძალიან ცოტა მაყურებელი მოვიდა. ვერის ბაღის ტრიბუნებზე ისედაც არ იკრიბება მილეთი, მაგრამ ხსენებულ თამაშზე ორი-სამი ათეული მაცქერალი თუ შეგროვდებოდა.

სიხალვათის მიზეზი გასაგებია — ყველა ვარაუდობდა, რომ დადიანის თასის შარშან მომგები სტუ სოხუმელებს იოლად გადაურბენდა.

ნურას უკაცრავად! სსუ-მ ტექნიკოსებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, არაფერში ჩამორჩა გაცილებით სახელიანი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ მეტოქეს და ცოტაც რომ გამართლებოდა, გვარიან სენსაციასაც გამოაცხობდა.

ისე, მართალი ითქვას, იმასაც შეგვიძლია პატარა სენსაცია ვუწოდოთ, რაც სსუ-მ სტუ-ს დამართა. თამაშის უმეტესი ნაწილის განმავლობაში უგებდა, მესამე მეოთხედში ერთხანს 9 ქულითაც გაინავარდა, თუმც ბოლო წუთებზე არ გაუმართლა და სოხუმელთა შეუპოვრობით აღფრთოვანებულ გულშემატკივარს გული დასწყვიტა.

დიახ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მაყურებელთა მეტი წილი სოხუმელებს ქომაგობდა. როცა სუსტი ძლიერს ეთამაშება და ტოლს არაფერში უდებს, თუ ნეიტრალური გულშემატკივარი ხარ, სუსტს ანიჭებ უპირატესობას. ასე იყო ვერის ბაღში შეკრებილი მაყურებელიც, სსუ-ს ყოველ წარმატებულ შეტევას, განსაკუთრებით სამქულიანებს ოვაციით ხვდებოდა. ვაჟა კვარაცხელიას ბიჭებსაც სტიმული ეძლეოდათ და ტექნიკოსებს ახალ-ახალ თავსატკივარს უჩენდნენ.

ზემოთ სოხუმელთა სამქულიანები ვახსენეთ და დავით თორთლაძემ, იცოცხლეთ, ბლომად შორი ნატყორცნი ჩააგდო. „თორთლას" 39 ქულა ტურნირზე ჯერჯერობით სარეკორდოა. ასეთი წარმატებითა და ჟინით დადიანურზე ჯერ არავის უბურთავია.

სანამ თოთრთლაძის სიჩაუქეზე ვიტყოდეთ, თავად ის ავხსნათ, რატომაა ასეთი ძლიერი მოთამაშე — სოხუმელებს არ ეწყინებათ — შედარებით სუსტ გუნდში.

„ორთვენახევარია, თავდაუზოგავად ვვარჯიშობ, თამაშისთვის თავის დანებება არც მიფიქრია, თუმც ისე გამოვიდა, რომ ერთმა გუნდმაც არ ისურვა ჩემი აყვანა — გვითხრა დავით თოთრლაძემ — როცა ფაქტის წინაშე დავდექი, რომ „ავიამშენმა" საბოლოოდ უარი თქვა ჩემზე, გადავწყვიტე, რომელიმე სუსტ გუნდში მივსულიყავი. სსუ-ს დარბაზში ვემზადებოდი და ვაჟა კვარაცხელიას უარი არ უთქვამს, მასთან მეთამაშა. შეიძლება, ვინმემ არ დაიჯეროს, რომ სსუ-ში ხელფასი არ მაქვს. კალათბურთი ჩემი ცხოვრების ნაწილია და ასე ერთი ხელის მოსმით თავს ვერ დავანებებდი".

თოთრლაძე რომ მართლაც ჩინებულ ფორმაშია, სტუ-სთან მატჩში კარგად გამოჩნდა. ის იყო სოხუმელთა შეტევების სულისჩამდგმელი და თავადაც ხომ ბლომად ქულების იხვეჭდა, პასიც არ ავიწყდებოდა.

თავიდან სტუ მცირედით დაწინაურდა, თუმც თოთრლაძის სამქულიანების წყალობით სსუ მეოთხე წუთისთვის პირველად დაწინაურდა — 10:9. ყველას ეგონა, სოხუმელთა ლიდერობა დროებითიაო და ერთხანს სსუ მართლაც ჩამორჩა, თუმც მეორე მეოთხედიდან თოთრლაძის თანამებრძოლნიც ათამაშდნენ და ტექნიკოსთა საქმე ჭაკად წავიდა.

საწყისი მეოთხედი სულაც სსუ-ს უნდა მოეგო, მაგრამ სირენის თანხლებით ზვიად მიქაძემ სამიანი ჩასვა და 28:26 სტუ-ს სასარგებლოდ.

მცირე შესვენების შემდეგ მძლავრად ათამაშდა ტექნიკოსთა ფარქვეშა ტანდემი: რიჩარდ მათიაშვილი და დავით მურჯიკნელი. მათი წყალობით სტუ სამწამიანს დაეპატრონა და სანამ სოხუმელები თავდაცვით ზომებს მიიღებდნენ, თბილისელები 9 ქულით დაწინაურდნენ — 46:37.

სოხუმელთა თავკაცმა ვაჟა კვარაცხელიამ მოედანზე ტანმაღალი ლუკა ნოზაძე შეუშვა, რომელმაც მხარი კარგად აუბა ისედაც ჩაუქად მობურთალ გოჩა კორძაძეს და თამაშიც გათანაბრდა. რაკი ფარქვეშ ძალები დააბალანსა, სსუ-მ უკანა ხაზიდან თამამად შეუტია — პატარაია, მოდებაძე, გოლეთიანი და, რა თქმა უნდა, თორთლაძე წარმატებით ტყორცნიდნენ [illegible] და პირველი ტაიმიც ფრედ, 58:58 დასრულდა.

მესამე ათწუთეულს [illegible] სნაიპერობით დაიწყო. პატარაიამ და მოდებაძემ ორ-ორჯერ მიიღეს სამიანი და სამ წუთში კვარაცხელიას სამწყსომ [illegible]ანი უპირატესობა მოიპოვა — 70:61.

ეს უკვე მეტისმეტი სირცხვილი იყო ჩემპიონი სტუ-სთვის. მაგრამ გუნდური თამაშით ტექნიკოსებმა ვერ ჩაგრავდნენ სოხუმელებს [illegible] რედ ამ დროს აბობოქრდა [illegible] კედია, რომელმაც ორწუთიანი მონაკვეთი 10:0 მოაგებინა [illegible] და სსუ გადამწყვეტი მეოთხედის წინ ქულას აგებდა — 85:86.

თამაშის განახლება იყო და სოხუმელები ისევ [illegible], თუმც მერე კედიას ლუკა შანიძეც წაეხმარა და სტუ-მ შვიდქულიანი უპირატესობა მოიპოვა. თამაშის დასრულებამდე 6 წუთი რჩებოდა და მატჩის ბედიც თითქოს გადაწყვეტილი ეგონა, მაგრამ სსუ-მ ერთხელაც გამოაჩინა [illegible] და სულ რაღაც ერთ წუთში 7 ქულიანი დეფიციტი აღმოფხვრა [illegible] თავი მოდებაძემ და კორძაძემ ისახელეს.

ტექნიკოსთა მწვრთნელმა [illegible] მეტოქისთვის წერის [illegible] ფარქვეშიდან სცადა და [illegible] მოედანზე დაბრუნებულმა მათიაშვილმა უშიშრად იმოქმედა [illegible] რიმოში, არაერთი ქულა [illegible] და როცა მას უკანასკნელი [illegible] მოუშველნენ, სტუ-მ [illegible] ლიდერობაც დაიბრუნა — [illegible] რენამდე 3 წუთით ადრე.

სტუ-ს ასეთი უპირატესობის [illegible] უხედავად, სოხუმელებმა [illegible] ლაც სცადეს თამაშის შემობრუნება, რაც ვერ მოახერხეს, მაგრამ ტექნიკოსები კვლავ [illegible] სსუ-მ პრესინგს მიმართა, [illegible] ლაძემ სამიანი ჩააგდო, [illegible] ნმა — ორიანი და სირენამდე წუთით ადრე სტუ-ს [illegible] ორი ქულაღა დარჩა. [illegible] თიაშვილმა იყოჩაღა და სოხუმელებს ჯალათური ორქულიანი ჩაუგდო, რომელსაც საჯარიმო [illegible] ლაც მიაყოლა და სოხუმელთა [illegible] ქმეც აქ მოთავდა.

დანარჩენ ორ მატჩში კი [illegible] ქით მოხდა ყველაფერი. [illegible] ძლიერი შემადგენლობა კი [illegible], მაგრამ მაინც ვარაუდობდნენ, რომ რუსთაველები ლევან მოსეშვილის გუნდს წინააღმდეგობას გაუწევდნენ. მით უმეტეს, ქუთაისელებს საამატჩოდ ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი [illegible] მაკლდათ. არ გამოვიდა. ავიამშენებლები თავიდანვე გვარიანი ლიდერობა მოიპოვეს და გამარჯვებამდე [illegible]ტი გართულებების გარეშე მივიდნენ.

რაც შეეხება „დინამო" — „მაკაბის", ამ მატჩზე [illegible] რია სათქმელი. ახალგაზრდა დინამოელებმა იოლად დაჯაბნეს მაკაბელები.

**A ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ-ნიკორა | 1 | 1 | 0 | 115:181 | 2 |
| სტუ | 1 | 1 | 0 | 118:113 | 2 |
| სსუ | 2 | 0 | 2 | 194:233 | 2 |

**B ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავიამშენი | 2 | 2 | 0 | 160:148 | 4 |
| რუსთავი | 2 | 1 | 1 | 161:139 | 3 |
| დინამო | 2 | 1 | 1 | 159:142 | 3 |
| მაკაბი | 2 | 0 | 2 | 121:172 | 2 |



კახა გეწაძე

AFP ბუდაპეშტიდან



რევაზ მინდორაშვილი წლევანდელი სეზონის გმირია

# ჭიდაობის წლის მოლოდინში...
## ფედერაციამ მედლებს ფასი დაადო

**გუშინ,** ჭიდაობის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებიდან მეათე დღეს, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ბუდაპეშტური შედეგები ახლახან პრეზიდიუმმა შეაფასა და ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემაც საერთო ნათამაშარალი გაგვაცნო, მანამდე კი მსოფლიოს ჩემპიონსა და პრიზიორებს წარმატება ჟურნალისტების წინაშე ერთხელაც მიულოცა.

კახა გეწაძე: ჩემპიონატზე 105 ქვეყნის ფალავნები მონაწილეობდნენ და ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. თან პირველად მოხდა, რომ სამმა მოჭიდავემ აიღო მედალი. ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი და ბრინჯაოს პრიზიორი ოთარ თუშიშვილი ჩვენს გვერდით არიან და მინდა, ბუდაპეშტური შეხვედრებისა და თავდადებისთვის მადლობა გადავუხადო. სამწუხაროდ, ვიცე-ჩემპიონმა ლუკა კურტანიძემ გარკვეულ მიზეზთა გამო პრესკონფერენციაზე მოსვლა ვერ შეძლო.

პრეზიდენტი 2005 წლის სეზონით კმაყოფილია და 2006-ისგან მეტს ელის:

— წლეულს ორივე სახეობაში 22 საერთაშორისო მედლის მოპოვება მოვახერხეთ. აქედან 5 ოქროა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ 180 მედალი გათამაშდა, მივხვდებით, რომ საკმაოდ კარგი სეზონი გვქონდა. უკვე გადაწყვეტილი ამბავია, მომავალი წელი საქართველოში ჭიდაობის წლად გამოცხადდება. სახელმწიფოს ხელშეწყობით სპორტის ამ სახეობის ასაღორძინებლად უამრავი დიდი სამუშაოები შესრულდება. ასე რომ, შემართებას გამარჯვებებიც უნდა მოჰყვეს. ჩვენგან დიდი ყურადღება მიექცევა საკლუბო ჭიდაობის განვითარებას. გაიზრდება შიდა პირველობათა რაოდენობა, რაც თავისთავად გაზრდის კონკურენციას, ამით კი პირველ რიგში ჩვენი ნაკრებები დარჩებიან მოგებულნი.

გეწაძემ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ-პრიზიორების პრემიებიც გაამხილა. მსოფლიოს ოქრო 15 ათას დოლარად შეფასდა, ვერცხლი — 10, ბრინჯაო კი — 7 ათასად. ევროპის ჩემპიონი 7 ათასს მიიღებს, ვერცხლოსანი — 5 ათასს, ხოლო ბრინჯაოსანი — 3 ათასს.

კახა გეწაძეს გვერდს მინდორაშვილ-თუშიშვილის გარდა ფედერაციის სხვა ჩინოსნები, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები და მწვრთნელებიც უმშვენებდნენ.

ცხადია, სიტყვა ნაკრების თავკაცებსაც მისცეს. ზაზა თურმანიძემ შეგირდების წარმატებაზე ისაუბრა, ბეგი დარჩიამ კი — მდგომარეობის გამოსწორების გზებზე. ამ უკანასკნელს მწვრთნელთა საბჭომ მომავალი წლის გაზაფხულზე გასამართ ევროპის ჩემპიონატამდე რომ გამოუცხადა ნდობა, ადრეც გაცნობეთ, გუშინ კი ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაგვიდასტურეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ხვალინდელი დღის ჩემპიონები



**წლეულს** არაერთხელ აღგვინიშნავს და კვლავ სიამოვნებით გავიმეორებთ, რომ აქტიურად საქმიანობს საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია. ქალ-ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატების გარდა 2005-06 წლების სეზონში გაიმართება აგრეთვე პირველობები სამ ასაკობრივ ჯგუფში.

თბილისში, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში, მიმდინარეობს ყველაზე უფროს, 15-16 წლის ჭაბუკთა ტურნირის პირველი ტური. სასიხარულოა, რომ შეჯიბრებაში ჩაება შვიდი გუნდი — ბოლო ხანებისთვის სარეკორდო რაოდენობა.

მონაწილეთა შორის არიან თბილისის, ქუთაისის, ფოთის, სამტრედიის, რუსთავის, თელავისა და ყვარლის წარმომადგენლები.

ჯერჯერობით უდანაკარგოდ იბრძვიან თბილისელი და ყვარლელი ხელბურთელები.

გუშინ მოეწყო ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. მონაწილეებს მიესალმნენ და წარმატება უსურვეს საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ, ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა მამუკა სხიერელმა და გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ.



გუშინ ქუთაისელებმა ადვილად სძლიეს რუსთაველებს

საქართველოს ხელბურთის
ეროვნული ასოციაცია
მწუხარებით იუწყება, რომ
გარდაიცვალა ეროვნული
ნაკრების ყოფილი მოთამაშე

**ზაზა გაბრიჩიძე**

და თანაგრძნობას უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

ხელბურთის კლუბი
„სსსსუ-მამული“ ღრმა
მწუხარებით იუწყება, რომ
35 წლისა გარდაიცვალა გუნდის
ყოფილი წამყვანი მოთამაშე

**ზაზა გაბრიჩიძე**

და თანაუგრძნობს
განსვენებულის ოჯახს



## რეგულარული ჩემპიონატი

# გმირები და გმირობანი



**10 ოქტომბერი**

**აილენდერსი 1:3 ფლორიდა**

1:0 0:2 0:1

1:0 შატანი (7), 1:1 ჰუსელიუსი (24), 1:2 გრეტონი (28), 1:3 ოლეში (60)

**რობერტო** ლუონგოს გმირობანი ამ კვირასაც გრძელდება. ჩემპიონატის პირველი კვირის საუკეთესო მცველ მოთამაშედ მიჩნეულმა მეკარემ (საუკეთესო შემტევად კი ატლანტელი მარკ სავარი აღიარეს) კიდევ ერთი საუცხოო თამაში ჩაატარა. გოლკიპერმა მოგებისთვის ყველაფერი გააკეთა. პირველივე პერიოდში შეეძლო ლუონგოს, შეცვლა მოეთხოვა. ჯერ იყო და ჯეისონ ბლეიკის უძლიერესი დარტყმის შემდეგ შაიბა მას ჩაფხუტში მოხვდა, ხოლო ცოტა ხანში — მუცლის დაუცველ არეში.

„კინაღამ შოკში ჩავვარდი, მაგრამ ორ წუთში უკეთ ვიგრძენი თავი“ — თქვა ნამატჩევს ლუონგომ. ამ მომენტის შემდეგ რობერტო შეუვალი გახდა, ხოლო მისმა პარტნიორებმა სამჯერ დალაშქრეს მასპინძელთა კარი. შედეგად ოთხი მატჩის შემდეგ „ფლორიდა“ დივიზიონის სათავეში მოექცა.

**ვაშინგტონი 3:2 რეინჯერსი**

0:0 2:2 1:0

0:1 იაგრი (23), 1:1 სიკორა (27), 1:2 ჰოსა (31), 2:2 ემინგერი (40), 3:2 ოვეჩკინი (50)

**ახალგაზრდობა** უტევს! მასპინძელთა სამივე გოლი ახალბედებმა გაიტანეს, ხოლო ალექსანდრ ოვეჩკინმა უკვე ზედიზედ მეოთხე თამაშში მიითვალა ქულები (სულ 5 (3+2) ქულა).

**ოტავა 6:5 ტორონტო**

1:0 3:2 0:0 1:0

ბულიტების სერიაში

1:0 ნილი (14), 1:1 მაკეიბი (24), 1:2 ტაკერი (25), 2:2 სპეცა (30), 3:2 ჰიტლი (33), 4:2 ალფრედსონი (36), 4:3 დომი (46), 4:4 უილმი (47), 4:5 ანტროპოვი (48), 5:5 სპეცა (50), 6:5 გადამწყვეტი ბულიტი: ჰიტლი

**როცა** კარში დომინიკ ჰაშეკი გყავს, თავისუფლად შეგიძლია, მატჩისშემდგომ ბულიტებზე დაამყარო იმედი. „სენატორებმა“ ამ სეზონში უკვე მეორედ მიანდეს „ლატარიას“ ბედი და არც შემცდარან. ჰაშეკმა ამჯერადაც უკლებლივ ყველა ბულიტი მოიგერია.

**ბუფალო 3:2 პიტსბურგი**

1:1 1:1 0:0 1:0

1:0 ფიცპატრიკი (4), 1:1 პალფი (7), 2:1 გოსტადი (31), 2:2 რეკი (37), 3:2 ჰეხტი (65)

**„პიტსბურგისთვის“** ოვერტაიმების თამაში აბსოლუტურად მიუღებელია. ზედიზედ მესამედ ამთავრებს მარიო ლემიეს გუნდი ძირითად დროს ფრედ და დამატებითსა თუ ბულიტების სერიაში აგებს. ვუნდერკინდმა სიდნი კროსბიმ ზედიზედ მეოთხე ქულიანი მატჩითაც კი (სულ მან უკვე 6(1+5) ქულა დააგროვა) ვერ უშველა თავისიანებს.

**კოლორადო 7:3 კალგარი**

2:0 4:1 1:2

1:0 ვოლსკი (5), 2:0 მაკლინი (17), 3:0 სვატოში (22), 4:0 სვატოში (37), 5:0 ლააქსონენი (37), 5:1 ფანიოფი (38), 6:1 ბრისბუა (39), 6:2 ამონტე (44), 7:2 სვატოში (50), 7:3 ამონტე (52)

**მარეკ** სვატოშის დაბრუნება ტრიუმფალური გამოდგა. ლამის ორი წლის წინათ მიღებული ტრავმა სლოვაკმა ლეგიონერმა სულ ახლახან მოირჩინა და თავის პირველ მატჩშივე ჰეთ თრიქი გამოირჩა. ეს ფაქტი უფრო მნიშვნელოვანია, რომ საზაფხულო გაცვლების და ლიდერების ტრავმების გამო „ეველანში“ დასუსტებული შემადგენლობით გამოდის. ჰოდა, ახლა გუნდს სწორედ სვატოშის ლარი გმირების იმედიღა აქვს.

**ანაჰაიმი 2:4 ედმონტონი**

2:0 0:2 0:2

1:0 სელიანე (7), 2:0 პერი (12), 2:1 ტორესი (22), 2:2 რიზონერი (34), 2:3 დვორჟაკი (49), 2:4 ტორესი (60)

**ტამპა 2:4 ბოსტონი**

1:0 0:2 1:2

1:0 მოდინი (20), 1:1 ლიჩი (30), 1:2 აქსელსონი (38), 1:3 გრინი (44), 1:4 ისბისტერი (50), 2:4 ბოილი (55)

**დეტროიტი 2:4 ვანკუვერი**

1:0, 0:2, 1:2

1:0 სამუელსონი (4), 1:1 კუკი (28), 1:2 პ. სედინი (39), 2:2 ჰოლმსტრომი (44), 2:3 კარტერი (52), 2:4 პარკი (60)

# მარიას შეხვედრა სამშობლოსთან
## ფული ყველას არ იზიდავს



დინარა საფინა

**მოსკოვში დაიწყო კრემლის თასის გათამაშება. აქ ერთმანეთის პარალელურად იმართება როგორც ATP-ს, ისე WTA-ს ტურნირები, რომლებიც საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობენ. აქ ცნობილი ჩოგბურთელები იყრიან თავს და მეტად სოლიდური საპრიზო ფონდიც თამაშდება.**
**ასე რომ, ერთი კვირის განმავლობაში ყველაზე დიდი საჩოგბურთო ბატალიები სწორედ მოსკოვში გაიმართება.**

**WTA**
**მოსკოვი**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 1 300 000 $**

**I წრე**

**ანა-ლენა გრონეფელდი** (გერმანია) — ვირჯინია რაზანო (საფრანგეთი) — 3:6 7:5 6:1
**დინარა საფინა** (რუსეთი) — სილვია ფარინა-ელია (იტალია) — 6:1 7:5
**სამანტა სტოსური** (ავსტრალია ) — ალისია მოლიკი (ავსტრალია, 7) — 6:3 6:2
**ფლავია პენეტა** (იტალია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) — 6:3 7:5
**ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) — 3:6 6:2 7:5
**პატი შნიდერი** (შვეიცარია, 5) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) — 6:2 2:6 7:5
**კვეტა პეშკე** (ჩეხეთი) — ევგენია ლინეტსკაია (რუსეთი) — 6:2 6:2
**სესილ კარატანჩევა** (ბულგარეთი) — ელენა იანკოვიჩი (სერბია — მონტენეგრო) — 6:2 6:1
**სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი, 8) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) — 6:0 6:4
**ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — ივეტა ბენესოვა (ჩეხეთი) — 6:3 6:2

**კრემლის** თასზე წლეულს მართლაც სოლიდურმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ის უკვე WTA-ს უმაღლესი რანგის ტურნირად ითვლება და პრესტიჟით მხოლოდ „დიდი მუზარადისა" და მასტერსის სერიის ტურნირებს თუ ჩამოუვარდება.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარია შარაპოვამ კრემლის თასი წლეულს დააფასა და მასში მონაწილეობაზე დათანხმდა, რაც ბევრისვის საკმაოდ მოულოდნელი იყო.

თუმცა, შარაპოვა გამარჯვებას რომ ეცდება, ამას წყალი არ გაუვა — ის ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩავიდა რუსეთის დედაქალაქში, რომ უკეთესად მომზადებულიყო. არადა, მარია 11 წელიწადია, არ ყოფილა სამშობლოში. შარაპოვა წლევანდელი კრემლის თასის უპირობო ფავორიტია.

ტურნირის შემადგენლობა უფრო სერიოზული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტრავმების გამო მოსკოვში ჩასვლა ვერ შეძლეს დებმა უილიამსებმა.

პირველ დღეს მონაწილეობა არ მიუღიათ ტურნირის ფავორიტებს, ისინი მხოლოდ მეორე წრიდან ჩაერთვებიან ასპარეზობაში.

რაც შეეხება პირველ წრეს, უკვე დაფიქსირდა რამდენიმე საინტერესო შედეგი. ტურნირს ერთი განთესლი მოთამაშე, ავსტრალიელი ალისია მოლიკი გამოეთიშა. მან წინააღმდეგობა ვერ გაუწია ტურნირზე კვალიფიკაციიდან მოხვედრილ თანამემამულე სამანტა სტოსურს.

თამაშების მოგება გაუჭირდათ გამოცდილ რუს ელენა ლიხოვცევასა და ტურნირზე მეხუთე ნომრად განთესილ შვეიცარიელ პატი შნიდერს. მათ სამ-სამი სეტი ითამაშეს შესაბამისად ვერა დუშევინასთან და ანა ჩაკვეტაძესთან, რათა შემდეგ ეტაპზე გასულიყვნენ.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია დინარა საფინასა და სვეტლანა კუზნეცოვას შეხვედრები. მარატ საფინის დამ იოლად დაამარცხა გამოცდილი იტალიელი ფარინა-ელია. კუზნეცოვამ კი შანსი არ დაუტოვა შვეიცარიელ გალიარდის.

**ATP**
**მოსკოვი**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 975 000 $**

**I წრე**

**იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) — 6:4 6:4
**არნო კლემანი** (საფრანგეთი) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) — 7:5 6:2
**იგორ ანდრეევი** (რუსეთი, 7) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — 6:4 6:2
**პოლ გოლდშტაინი** (აშშ — მიხაილ ლედოვსკიხი (რუსეთი) 6:2 6:4
**ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — რაზვან საბაუ (რუმინეთი) — 6:0 6:1
**ნიკლას კიფერი** (გერმანია, 6) — ალექსანდრ პოპი (გერმანია) — 6:4 6:1
**ფლორიან მაიერი** (გერმანია) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) — 6:3 6:2
**თეიმურაზ გაბაშვილი** (რუსეთი) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) — 6:1 6:3
**მაქს მირნი** (ბელარუსია, 4) — სტეფან ბოლი (შვეიცარია) — 6:4 6:4

**ქალთა** ტურნირისგან განსხვავებით, კრემლის თასზე ვაჟთა არც თუ ისე ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცთა ტურნირზეც მეტად სოლიდური თანხა გათამაშდება, აქ მონაწილე ჩოგბურთელთაგან 3-4 თუ იქნება ისეთი, უმაღლესი კლასის მოთამაშედ რომ ითვლება.

როგორც ჩანს, რეიტინგის პირველი ათეულის წევრების მოსაზიდად მხოლოდ ფული არ არის საკმარისი.

უშუალოდ ტურნირზე კი პირველი წრე დასასრულს უახლოვდება. დიდი მოულოდნელობა ან სენსაცია ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა — ვისაც რანგით ეკუთვნოდა, ყველამ მოიგო. მცირე მოულოდნელობად კი რუსეთის სახელით მოასპარეზე ქართველ თეიმურაზ გაბაშვილის მიერ გამოცდილი ლუქსემბურგელი ჩოგბურთელის, ჟილ მიულერის დამარცხება შეიძლება ჩაითვალოს.

შემდეგ ეტაპზე ასევე უპრობლემოდ გავიდნენ განთესილები — ბელარუსი მაქს მირნი და რუსი იგორ ანდრეევი. არანაირი დაძაბულობა არ ყოფილა გუშინ გამართულ ორ გერმანულ დერბიში — ფლორიან მაიერმაც და ნიკლას კიფერმაც იოლად მოუგეს თავიანთ თანამემამულეებს.

მეორე წრეში ასევე გავიდნენ გამოცდილი არნო კლემანი და რუმინელი ანდრეი პაველი.

**ქახა ლომჯაშვილი**



მარია შარაპოვა



## მსოფლიოს ჩემპიონატი
**27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი. სან-ლუისი. არგენტინა**



პეტერ სვიდლერს იმედი გაუჩნდა

**X ტური**

| | | |
|---|---|---|
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1:0 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) |
| იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 1:0 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 8,5 ქულა |
| 2 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 7 |
| 3 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 6,5 |
| 4 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 5,5 |
| 5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 5 |
| 6 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 4,5 |
| 7 | მაიკლ ადამსი (ინგლისი | 4 |
| 8 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 3 |

# ინდური ვენდეტა და რუსული დუელი

**მეთერთმეტე** ტურში რუსმა პეტერ სვიდლერმა თანამემამულე ალექსანდრ მოროზევიჩს მოუგო, ლიდერმა ვესელინ ტოპალოვმა კი ყაიმი ითამაშა და მათ შორის სხვაობა 1,5 ქულამდე შემცირდა.

სვიდლერმა და მოროზევიჩმა რუსული პარტია გაითამაშეს. დებიუტში შავები გააქტიურდნენ, მსუბუქი ფიგურებით გამოვიდნენ წინ და თეთრებს შეუტიეს. სვიდლერი მალე მიუხვდა თანამემამულეს ჩანაფიქრს, ცენტრში დახვავებულ შავ რაზმს დაეტაკა და იერიშებს შეუდგა. მოროზევიჩი მტერს ვაჟკაცურად დახვდა, თავის ტერიტორიაზე არ შეუშვა და ლაზიერის ფლანგიდან მძიმე ფიგურებით დაარტყა. გამოცდილმა სვიდლერმა დიდი ბრძოლის შემდეგ უკუაგდო მტერი, საპასუხოდ შეუტია და 32-ე სვლაზე პაიკი მოიგო. სვიდლერმა თანდათან განავითარა უპირატესობა, მეტოქეს მანევრირების საშუალება ამ მისცა და 70-ე სვლაზე იმარჯვა.

„მოგებით მდგომარეობა გავიუმჯობესე, მაგრამ ყველაფერი ტოპალოვთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდება" — განაცხადა სვიდლერმა მატჩის შემდეგ.

იმარჯვა ინდუსმა ვიშვანათან ანანდმა. მან ფიდეს ჩემპიონ უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვს თეთრი ფიგურებით მოუგო და წინა წრეში დამარცხებისთვის რევანში აიღო.

მეტოქეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს. ანანდმა, როგორც ჩვევია, თავიდანვე ყოჩაღად დაიწყო შეხვედრა, ჯარი განავითარა და შეუტია. ინდუსმა მარცხენა ფლანგისკენ გადაიტანა ყურადღება, მსუბუქი ფიგურები ამ მხარეს გადაისხა და მიაწვა. კასიმჯანოვმა თანდათან დათმო პოზიციები, წყობაც აირია და 29-ე სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადა.

ჩემპიონატის ლიდერი ტოპალოვი აუტსაიდერ ინგლისელ მაიკლ ადამსს დაუპირისპირდა. ბულგარელმა თავიდან მხედარი შესწირა მეტოქეს, ფიგურები განავითარა და უპირატესობაც მოიპოვა. ბულგარელმა საპასუხოდ იერიშებს მიმართა. ადამსის ფიგურებს მანევრირების საშუალება არ მისცა და 45-ე სვლაზე პარტია ყაიმით დაასრულა.

**ლაშა გეგეჭკორი**



სვიდლერმა 70-ე სვლაზე იმარჯვა

# ფორმულას დაეჭიდებიან

A1 რბოლათა იმგვარი სახეობაა, რომელსაც სურს, რომ ფორმულა-1-ს აჯობოს. ავტო 1-ის მორიგი დიდი პრიზი ახლა კლეტვიცში უნდა გათამაშდეს. ნაცნობი სახეები კი ასეთია: ლეგენდარული ნიკი ლაუდა თავის შვილს, მათიასს ამხნევებს. მათიასი A1-ის ერთ-ერთი მონაწილეა.




AFP კლეტვიციდან



AFP ტოკიოდან

# კვლავ მოიგო

ტაილანდელი უმსუბუქესი ჩემპიონი პონგსაკლეკ ვონჯონგკამი (მარჯვნივ) კვლავაც უძლეველი და დაუმარცხებელი საბჭოს (ვბკ) ჩემპიონია. ამჯერადაც ტოკიოში გაუსილაქებია იქაური დაისუკე ნაიტო და ტიტული დაუცავს.

# თასი ციხესიმაგრესთან

კარდიფის ციხესიმაგრესთან შეკრებილან ინგლისური და ირლანდიური სარაგბო კლუბების განთქმული მოთამაშენი და ჰაინეკენის თასი დაუჭერიათ, კარდიფში უნდა გაგვითამაშოთო. თასი უელსის ნაკრების ყოფილ კაპიტანს, იუან ევანსს უჭირავს. მხარზე შესკუპებული გოგო კი „მის უელსი“ კლერ ევანსი გახლავთ.




AFP კარდიფიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლაშა ხიმერიკი, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან კრიხთავა, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge